პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 26 მარტი № 71 (16501) ფასი 2 კაპ. 1976

სახალხო კონტროლი დიდი ძალაა

ერთიანი კომუნისტური პარტიის მიერ სოციალისტური დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და სრულყოფისათვის დასახული კურსი მკაფიოდ გამოიხატა სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობით. ეს ორგანოები ერთმანეთს კარგად უხამებენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ კონტროლს და ქმედითად სახალხო ორგანოებია მასობრიობით, შემადგენლობით, მუშაობის ხერხებითა და მეთოდებით.

ამიტომ არის, რომ პარტია, საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, მათი ძირეული რგოლების ქმედითობის ამაღლებისათვის; რადგან შესრულების შემოწმებისათვის მუშაობაში, როგორც ეს პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, დიდი ადგილი სახალხო კონტროლის ორგანოებს უკავიათ. პარტიულმა ორგანიზაციებმა უკეთ უნდა გამოიყენონ მათი შესაძლებლობა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათ დაკისრებული ფუნქციების განხორციელებაში.

უკანასკნელ ხანებში გარკვეული დადებითი ძვრებია რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის, ადგილობრივი კომიტეტების მუშაობაში. ეს უთუოდ სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ საჭიროა ყოველივე ეს უფრო მკაფიოდ, უფრო მეზნებარებით ყველა მისი რგოლის მოღვაწეობაშიც იგრძნობოდეს. სახალხო კონტროლიორები აქტიურად უნდა იბრძოდნენ ყოველი იმ ნეგატიურის გამოვლენებისა და აღმოფხვრისათვის, რაც ხელს გვიშლის მუშაობაში, გზას უღობავს ჩვენს წინსვლას.

სახალხო კონტროლის ორგანოების მთელი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ჭეშმარიტი ზრუნვით იყო ნაკარნახევი დიდი სჯა-ბაასი რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე, რომელმაც პრინციპულად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე, უაღრესად კონკრეტულად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „ლატვიის სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გააანალიზა სახალხო კონტროლის ორგანოთა მთელი საქმიანობა, დასახა მისი შემდგომი სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები.

დადა ის უარადღების, მხარდაჭერისა და პრაქტიკული დახმარების მნიშვნელობა, რომელსაც ამჟამად ჩვენი სახალხო კონტროლის ორგანოებს უწევენ. ნამდვილად რომ იგრძნობა პარტიული ხელმძღვანელობის ძალა, მისი ცხოველმყოფელობა, მუშაობის სტილისა და მეთოდების, მისი ეფექტურობისათვის მისწრაფება. ბევრია ახლა ჩვენში ისეთი რაიონული და საქალაქო კომიტეტი, ჯგუფი და საგუშაგო, ცალკეული კონტროლიორი, რომელიც თავისი მოღვაწეობით, საქმის ერთგულებით, მოვალეობის დიდი გრძნობით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს მუშაობაში. საკონტროლო შემოწმებათა კარგი გამოცდილება შეიძინეს თბილისის, ჭოთაისის, ბათუმის, რუსთავის, რაიონების — საბურეთის, გორის, ზუგდიდის და სხვა სახალხო კონტროლის კომიტეტებმა.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში 240 ათასამდე სახალხო კონტროლიორია. ცხადია, ეს უდიდესი ძალაა მათს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად. მაგრამ კონტროლიორთა მუშაობა, შედეგები რიცხობრივი მაჩვენებლებით კი არ იზომება, არამედ სამუშაოთა შესრულებით, მიღწევებით, ეფექტურობით, ქმედითობით, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დაუცხრომელი მოღვაწეობით.

ამიტომ, როგორც აქტივის კრებაზე აღინიშნა, კონტროლის ქმედითობა, უწინარეს ყოვლისა, გამოვლენილი ნაკლოვანებების უნარიანი გამოსწორებაა, აქტიური ზემოქმედებაა ყველა იმათზე, ვინც უშუალოდ აგებს პასუხს ამა თუ იმ უბანზე მუშაობის ორგანიზაციისათვის, ნაკლოვანებების წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრისათვის. ერთი სიტყვით, საქმე ის არის, რომ კონტროლიორთა ყოველ შემოწმებას კონკრეტული სარგებლობა მოჰქონდეს. იგი ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატების მუშაობის სრულყოფას.

კონტროლს ვუწევდეთ — ეს იმას ნიშნავს, რომ აქტიურად ვეხმარებოდეთ პარტიას, უზრუნველყოფდეთ მისი გადაწყვეტილებებისა და მითითებების უთუო შესრულებას.

ყოველივე ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ზოგიერთი კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ანალიზებს ადგილებზე საქმის ისეთ ვითარებას, ნაკლოვანებებსა და სამართალდარღვევებს რომ წარმოშობს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ახლა ხომ ხარისხისა და ეფექტურობის ხუთწლედია და სწორედ ამიტომაც უდიდესი სამოქმედო ასპარეზია გადაშლილი სახალხო კონტროლის ორგანოთა წინაშე. უთუო ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენში უსარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობა სახალხო კონტროლის ორგანოებსაც ეკისრებათ.

ვფლასდოდეთ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილებზე სახალხო კონტროლის ორგანოები უუდამ ვერ იჩენენ საჭირო აქტივობასა და პრინციპულობას მშრომელთა მომსახურების სფეროს მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. ჩვენი ხალხის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამ დარგის მიმართ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე უაღრესად სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა, რადგან მომსახურების სფერო ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

სახალხო კონტროლის ყველა რგოლის მუშაობაში მკვეთრი გაუმჯობესების მთავარი და გადამწყვეტი საწინდარი მისადმი პარტიული ხელმძღვანელობაა. საჭირო და აუკილებელია, რომ პარტიული კომიტეტები სისტემატურად სწავლობდნენ და ყურადღებას აქცევდნენ სახალხო კონტროლის ორგანოთა — ადგილობრივი კომიტეტების, ჯგუფების, საგუშაგოების, აქტივისტების საქმიანობას, მსჯელობდნენ ამ ორგანოთა მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გულდასმით განიხილავდნენ და ამტკიცებდნენ მათს გეგმებს, პირუთვნელ პარტიულ შეფასებას აძლევდნენ შემოწმების შედეგებს, ქმედითობას, საჯაროობას, ყოველივე იმას, რაც ამ მასობრივ ორგანიზაციას ევალება.

ერთი სიტყვით, საქმე ის არის, რომ პარტიული ორგანიზაციები დაინტერესებულნი იყვნენ იმით, თუ რა პრობლემები აწუხებთ სახალხო კონტროლიორებს, როგორ წარმართავენ ისინი თავიანთ მუშაობას, რა დახმარება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა სჭირდებათ მოღვაწეობაში. ადგილობრივ საბჭოებთან, დეპუტატებთან სახალხო კონტროლიორთა ერთობლივ მოქმედებას ბევრი სასარგებლო საქმის, ხალხისათვის საჭიროროტო საკითხის მოგვარება და გადაწყვეტა შეუძლია.

ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ სახალხო კონტროლის ორგანოებს დიდი ავტორიტეტი ჰქონდეთ მოხეებელი, მათი მთელი საქმიანობა იმ ამოცანების შესაბამისად მიმდინარეობდეს, რომლებიც ჩვენს ხალხს პარტიის XXV ყრილობამ დაუსახა. მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის დაუცხრომელი მოღვაწეობა სახალხო კონტროლის ორგანოთა, მის ძირეულ ორგანიზაციათა მეტად საპატიო, სასახელო მოვალეობაა, მათი დიდი შემოქმედებითი ასპარეზია. სწორედ აქ გამოჩნდება ის, ვინც ერთგულია ჩვენი საერთო სახალხო დიადი მიზნებისა, ვისაც ძალა შეხწევს კომუნისტური იდეალების ხორცშესხმის ბრძოლის მოწინავეთა რიგებში ყოფნისა.

იყო სახალხო კონტროლიორი, ეს იმას ნიშნავს, რომ გულდადებ მაკიცე ხასიათი, წვიდა და მხურვალე გული, ბისვარდეს საერთო-სახალხო საქმე, მთელი შენი მგზნებარებით, კომუნისტური სინდისიერებით ემსახურებოდე ხალხს, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის შემართებულ ბრძოლას.

ჭეათე-საჩისხის, ეფექტიანობის-ხუთწლედი

მეათე ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტალის დამთავრებამდე ექვსი დღე დარჩა.

როგორ სრულდება კვარტალი, გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები? რა რეზერვები აღმოჩენდით და ჩავაყენეთ ხუთწლედის სამსახურში? თვითკრიტიკულად შეეხედოთ ჩვენს მუშაობას. არის თუ არა საკმარისი ალებული ტემპი იმისათვის, რომ უთუოდ შეეასრულოთ არა მარტო წლიური გეგმები, არამედ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები?

გვახსოვდეს, რომ ყოველი დამკვრელური სამუშაო დღე აასლოვებს ჩვენს წარმატებას, ამიტომ ვიცოდეთ დროის ფასი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ თვითეული საათი. გვახსოვდეს მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის გაკვეთილები.

ინიციატორია მკერავთა ბრიგადა

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). დავეუფლოთ მომიჯნავე პროფესიებს, გავაფართოოთ მომსახურების ზონა, გამოვუშვათ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია. — ამ დევიზით ეჯიბრებიან ერთმანეთს თბილისის № 1 სატრიკოტაჟო ფაბრიკის მკერავთა ბრიგადები. ეს შეჯიბრება გაიშალა მკერავთა იმ ბრიგადის ინიციატივით, რომელსაც მ. ლეკავა ხელმძღვანელობს.

შეჯიბრების კარგი ორგანიზაციით მკერავთა ბეერმა ბრიგადამ, მათს შორის ინიციატორმაც უკვე გაანაღდა კვარტალის დავალება და ახლა აპრილის ანგარიშში ზრომობენ.

ინიციატორი ბრიგადა კისრულობს კვარტალის გეგმის გადამეტებით გამოუშვას ათასობით ცალი შეკეერილი ნაწარმი და პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ნორმას 3-4 პროცენტით გადააჭარბოს.

17 აპრილს ლენინური შაგათოგის დღეა

დაზოგილი მასალეგით

თბილისი. ამიერკავკასიის ტრანსშმენის ტრესტის კოლექტივი ემზადება შაბათობის შესახვედრად. შედგენილი გრაფიკით ეს იქნება ერთ-ერთი დამკვრელური დღე ყოველ სამუშაო უბანზე. მეორე რკინიგზის ხაზის, ხიდების, ელექტრონადგურების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გამოვა 4.800 მშენებელი, ბევრად მეტი, ვიდრე შარშანდელ შაბათობაზე იყო.

ტრანსმშენის ტრესტის კოლექტივმა გადაწყვიტა შაბათობის დღეს დაზოგილი მასალებით იმუშაოს და გამოუშავებული ხელფასი მთლიანად გადარიცხოს ხუთწლედის ფონდში.

ინსტიტუტი ეშგადება

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აბობით სტუდენტი მონაწილეობას მიიღებს 17 აპრილს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 106-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში. შაბათობისათვის საგულდაგულოდ ემზადება უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივი.

ინსტიტუტის დიდმის სასწავლოსაცდელი მეურნეობის ვენახებსა და ხეხილის ბაღებში იმუშავებენ მომავალი აგრონომები, სოფლის მეურნეობის მექანიზატორები, ტექნოლოგები და სხვები.

ინსტიტუტის ახალგაზრდა სპეციალისტებს ეკუთვნით კულტურისა და დასვენების პარკის პროექტი. ეს პარკი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელთან ხუთ ჰექტარ ფართობზე გადაიშლება. (საქინფორმი).

მეათე ხუთწლედის პირველი კვარტალი

წარდგენისთანავე

ცხინვალი. (სკკ. კორ.). პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოლილი შეჯიბრება თანდათან ფართოვდება ემალადენის ქარხანაში. საწარმოს კოლექტივი ახორციელებს პროდუქციის უდაფექტოდ წარმოების და პირველი წარდგენისთანავე ჩაბარების ღონისძიებებს.

ნაკისრ ვალდებულებაში ჩაწერილია, რომ წლეულს საწარმოში დამზადებული პროდუქციის 90 პროცენტი ტექნიკურ განყოფილებას ჩაბარდება პირველი წარდგენისთანავე.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად საწარმოს მშრომელები ეძებენ ახალ რეზერვებს იმისათვის, რომ სრულყონ ტექნოლოგიური პროცესები, აღმოფხვრან „ვიწრო ადგილები“ წარმოებაში.

მარტი დამკვრელური თვეა ცხინვალელი მშრომელებისათვის. მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება კვარტალის დავალება ორი დღით ადრე გაანაღდონ.

კარლილის ქნგქარიშში

მკერავთა გადაწყვეტილება

თელავი. (საკ. კორ.). დრმს გაუსწრო სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი გ. ორთოიძე), კოლექტივმა, რომელმაც წარმატებით გაანაღდა მეათე ხუთწლედის პირველი კვარტალის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება 20 მარტისათვის 100,3 პროცენტით შეასრულა პროდუქციის წარმოების სამი თვის გეგმა.

ფებრიკამ 102 პროცენტით შეასრულა ავგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის კვარტალის დავალება და 1.140 ათასი მანეთის ნაცვლად სავაჭრო ორგანიზაციებს მიიწოდა 1.163 ათასი მანეთის ნაწარმი. მარტის დარჩენილ დღეებში აპრილის ანგარიშში გამოშვებული იქნება დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია, — ასეთია მკერავთა გადაწყვეტილება.

ბოლაპარაკეგა დამთავრდა

ლონდონი, 24 მარტი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მიიღო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ვილსონმა.

საუბრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე, აგრეთვე ბევრ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე. საუბარმა საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა.

დღესვე გაგრძელდა და დამთავრდა ა. ა. გრომიკოს და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. კალაგენის მოლაპარაკება.

საქმიან ვითარებაში

ლონდონი, 23 მარტი. (საკდესი). დღეს ა. ა. გრომიკომ თავიანთი თხოვნით მიმართა რ. მოდლინგი და კონსერვატიული პარტიის სხვა თავმესაჩინო მოღვაწეები და ესაუბრა მათ. საუბარმა საქმიან ვითარებაში ჩაიარა.



◆ **ბლაგოვეშჩენსკი.** თითქმის მილიონი მცხოვრებით გაიზრდება უახლოეს მომავალში ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ამ ჩრდილოეთი „აიონების მოსახლეობა, რომლებზეც ბაიკალ-ამურის მაგისტრალი გადის. როგორ უზრუნველყოთ ახალი სამრეწველო რეგიონის მშრომელები სურსათით? ამაზე იყო საფუძვლიანი სჯა-ბაასი ბამის ზონის სასოფლო-სამეურნეო ათვისების საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო საწარმოო კონფერენციაზე, რომელიც დღეს დამთავრდა ბლაგოვეშჩენსკში. იგი მოიწვიეს რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებამ.

◆ **შამქორი** (აზერბაიჯანი სსრ). მტკვრის მარჯვენა ნაპირის ველზე სძირკველი ჩაუყარეს ენერგეტიკოსთა მომავალი ქალაქის პირველ ხუთსართულიან შენობას. იგი აშენდება შამქორის ჰიდროელექტროსადგურის მახლობლად, რომლის აგება გათვალისწინებულია „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით“.

საბჭოთა მეცნიერების უკანასკნელმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ვოლგაზე და კასპიის ზღვაში, სადაც დიდი რაოდენობით ბინადრობენ თეთრი, სვია და ტარანა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ძვირფასი ჯიშის თევზის რაოდენობა, რომელიც ცნობილ შავ ხიზილალას იძლევა.

თართისებურთა გამრავლებაზე ინტიოლოგები მუშაობენ იკრიანისკის თევზსაშენ ექსპერიმენტულ ქარხანაში, რომელიც ვოლგის დელტაში არის აშენებული. აქ გამოყვანილ ლიფსიტებს 40 დღის შემდეგ უშვებენ კასპიის ზღვაში.

სურათზე: იკრიანსკის თევზსაშენის ამ საამქროში გამოჰყავთ თართისებურთა მილიონობით ლიფსიტა.

ა. ნარშანის ფოტო (ახალი ამბების სააგენტო).

ხუთწლედის მოწინავენი

ზორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივი მზურვალედ გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მიმდინარე წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

მრთველი ელისო ზვიადაური სამართლიანად ითვლება მოწინავედ, თუმცა დიდი შრომითი სტაჟი არა აქვს. საშუ-ლო სკოლის კურსდამთავრებული ორი წლის წინათ მოვიდა კომბინატში კომკავშირული საგზურით.

აღმავლობით დაიწყო მრთველმა მეათე ხუთწლედი. მან ვადამდე შეასრულა პირველი კვარტალის დავალება.

სურათზე: ე. ზვიადაური.

ვ. მორბენოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაზაფხული გვიხმობს

ითესეგა შვრია, გოსტნეული

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა სიძნელეების დასაძლევად მცხეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორების, საიესების და სხვა ტექნიკისა და მექანიზატორების სადღეღამისო მუშაობის უზრუნველსაყოფად ყველა პირობაა შექმნილი. სწრაფად ითესება შვრია, მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანნი და ბოსტნეული კულტურები. ჯეგმით საგაზაფხულო კულტურები უნდა დაითესოს 2.660 ჰექტარზე. თესვა ამას წინათ დაიწყო და აღნიშნული სამუშაო შესრულებულია 600 ჰექტარზე. მხვნელმთესველები ნიადაგის დამუშავებასთან ერთად სასუქის შეტანას არ ივიწყებენ. 500 ჰექტარზე უკვე შეტანილია ორგანული სასუქი საჭირო დოზით.

საბჭოთა მეურნეობებში წლეულს სხვა საგაზაფხულო კულტურებთან ერთად ყურადღებას აქცევენ ბოსტნეულს. ამ მიზნით მოამზადეს 22.600 ჩარჩო, კვალსათბურებში ითესება პამიდორი, კომბოსტო, ბაღრიჯანი და სხვა ბოსტნეული. გათვალისწინებულია აღნიშნული სამუშაო 27 მარტისათვის დაამთავრონ.

ახლა, როცა გაზაფხულის ნაკადულებმა უკვე გამოაღვიძა ველები, უფრო მეტი სათესი და ნიადაგდასამუშავებელი აგრეგატი გადის საწყის მიჯნებზე და იკავებს თავის ადგილს ბრიგადების ბანაკებში. ამ მხრივ აღსანიშნავია დიღმის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი რ. ბზიშვილი). აქ დროულად წესრიგში მოიყვანეს ტექნიკა. ახლა ითესება საგაზაფხულო კულტურები. მექანიზატორები გიორგი რეფაშვილი და ვახტანგ ჯანიაშვილი საგაზაფხულო კულტურების თესვის საქმეში პირველობის მისაღწევად ერომანეთის ეჯიბრებიან. მათ უკვე დათესეს პირველი ასეული ჰექტარები.

ნატახტრის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. ლობჟანიძე) ჯეგმით დასათესი 265 ჰექტარიდან უკვე დათესილი აქვთ 100 ჰექტარზე მეტი. საგურამოს საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ბახია), საგაზაფხულო კულტურების თესვის ყოველდღიურ დავალებას 110-120 პროცენტით ასრულებენ. ასევე წინ მიდიან მუხრანის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ი. ყიფიანი) ამავე. სოფლის სასწავლო-საცდელი მეურნეობა (დირექტორი ა. მინდაძე).

დარიანი ამინდის თვითეული წუთის რაციონალური გამოყენებით დავძლიოთ წლევანდელი ხუსხიანი ზამთრით გამოწვეული ჩამორჩენა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში, მივეცეთ სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი, იაფი სოფლის მეურნეობის პროდუქტები — ასეთი დევიზით მუშაობენ ახლა მცხეთელი მხვნელ-მთესველები.

შ. ჯოჯუა.

ამყნოგენ რქაწითელს, ხიხვს

თელავი. (საკ. კორ.). ვაზის მყნობა ორგანიზებულად მიმდინარეობს თელავის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში (დირექტორი ი. მესტვირაშვილი). წლეულს აქ ფართოდ ინერგება ელექტროსტატიფიკაციის მეთოდით ნამყნის კვამყვანა.

მეურნეობამ სამი მილიონი ცალი ვაზი უნდა დაამყნოს ძირითადად — „რქაწითელი“ და „ხიხვი“. მყნობაზე 120 კაცი მუშაობს, და ყოველდღიურად 150-155 ათასი ცალი ნამყენი შედის სათბურში. გამოცდილი მყნობელები შაქრო და შალვა გრემელაშვილები დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

ა. თვალიანაშვილი.

„პრავდის“ ფურცლებზე

მუშაობისა თანამშრომლობის პრინციპებზე

გაზეთის მეთაური წერილში („მუშაობისა თანამშრომლობის პრინციპებზე“) ნათქვამია:

„ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მუშაობისმოყვარე პროგრესული ძალები, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი იზიარებენ და აქტიურად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის კეთილშობილურ მიზნებს საერთაშორისო ასპარეზზე, პოლიტიკისა, რომელიც უზრუნველყოფს დიდი ლენინის იდეების პრაქტიკულ განხორციელებას“.

ამ დღეებში, პარტიის XXV ყრილობის შემდეგ, სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი გაქანება მიიღო, და სულ უფრო მეტი მისი მონაწილე იჩენს შემოქმედებით ოტკატობას, შეუპოვრობას. „პრავდის“ გუშინდელ ნომერში მოთხრობილია ორ მათგანზე — კრასნოიარსკელ ფიქარზე ზოია საფონოვაზე, რომელ მაც ჩვენს ქვეყანაში პირველმა ითავა, რომ მომსახურებოდა 75 ჩქაროსნულ პნევმატურ დაზგას, და ჩრდილო უზახელ მექანიზატორზე ნიკოლოზ გოვოროვზე, „სოციალისტური შეჯიბრების დლიურს“ დათმობილი აქვს მთელი მესამე გვერდი („ყოველი ვახტი — დამკვრელური“), გვერდის რუბრიკაა — „სკკპ XXV ყრილობის შემდეგ“.

მეოთხე გვერდზე გაცნობილი „პრავდის“ პოლიტიკური მიმომხილველის გიორგი რატიანის წერილს, „თეთრი შავად ეჩვენებათ“.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ატომგულური კვლევის ინსტიტუტში აამუშავეს იზოქრონული ციკლოტრონი. იგი გამიზნულია როგორც ატომგულარი ფიზიკის და ატომური ენერგეტიკის, ისე მომიჯნავე დარგებში ფუნდამენტური და გამოყენებითი ამოცანების გადასაწყვეტად. ამ მოვლენის გამო მეექვსე გვერდზე გამოქვეყნებულია რეპორტაჟი ინსტიტუტიდან („ევროპაში უდიდესი“).

როგორც გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი გ. ლეგანიძე ამავე გვერდზე (რუბრიკით — „სიბლანი“) წერს, რუსთავის მეტალურგიულ სასახლეში გახსნილა სტუდია „ოპიზარის“ ფეგრების ნამუშევართა გამოფენა. ამ სტუდიაში მეცადინეობენ მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, რუსთავის მოსწავლე ახალგაზრდობა. სტუდიელთა ნამუშევრებს აქ ყველანი ნახავთ. აპაურმა ჰედურობის ოსტატებმა გაფორმეს ახალგაზრდული კაფე, მეტალურგთა კულტურის სასახლის ვესტიბიული, მათივე შექმნეს ნიშანი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ნაფარმიასთვის და დაამზადეს სასაჩუქრო medlebi.

PRAVDA

ბრალს სდებს ანჯელა დევისი

ნიუ-იორკი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა რასობრივი და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კავშირის თანათავმჯდომარემ ანჯელა დევისმა მოუწოდა, რომ გააქტიურონ კამპანია, რათა გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების დილეგებში იტანჯებიან.

ქალაქ ითოა-სიტში უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე გამოსელისას მან ილაპარაკა იმ მრავალრიცხოვან შემთხვევებზე, როცა ხელოვნურად აწყობენ სასამართლო პროცესებს, სასტიკად სჯიან ადამიანებს, რომელთა ბრალი მხოლოდ ის არის, რომ ისინი იბრძვიან ჩაგრული ეროვნული უმცირესობების მოქალაქეობრივ უფლებათა დასაცავად, იზიარებენ რეაქციული წრეებისათვის მიუღებელ შეხედულებებს.



დიქტატორული რეჟიმის მსხვერპლნი

ლიმა. (საკდესი). **მძიმე მდგომარეობაში არიან პარაგვაის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ანტონიო მაიდანა, პარაგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ხულიო როხასი, ალფრედო ალკორტა და ვეტერანი ანანიას მაიდანა პალასიოსი, რომლებიც სტრესნერის რეჟიმს თორმეტს 18 წელია დაპატიმრებული ჰყავს. აქ მოსული ცნობების თანახმად, ხელისუფალნი იძულებული გახდნენ ისინი საპატიმროს საავადმყოფოში მოეთავსებინათ.**

კომპარტიის ხელმძღვანელებმა ოთხი კვირის წინათ შიმშილობა გამოაცხადეს იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ დიქტატურამ ქვეყნის მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეები დასჯა.

შემდეგ ცნობილი გახდა, რომ „უგზოუკვლოდ გაქრა“ პარაგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიგელ ანხელ სოლერა, პარაგვაის კომუნისტური ახალგაზრდობის ფედერაციის ხელმძღვანელი დეზრეს ვილიარგი და სხვა ოპოზიციონერები, რომლებიც დაპატიმრებული ყოფნენ. შიმშილობის გამოცხადებით ა. მაიდანამ, ხ. როხასმა, ა. ალკორტამ და ა. მაიდანა პალასიოსმა გამოთქვეს აგრეთვე პროტესტი პატიმართა უუტანელი პირობების წინააღმდეგ. მათთან სოლიდარობის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადეს სხვა პოლიტპატიმრებმაც.

ვ. ბრანდტის განცხადება

ბონი. (საკდესი) **გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვ. ბრანდტმა მხარი დაუჭირა იმას, რომ განაგრძონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, რომელმაც სხვადასხვა სოციალოგრმული წყობილების სისტემის სახელმწიფოთა თანამშრომლობის სულ ახალი სფეროები უნდა დასახოს.**

გაზეთ „აუგსბერგერ ალგემაინესათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ასეთი პოლიტიკის განხორციელებისათვის უნდა ვეჭიდეოდეთ მოთმინებას, რადგან „საერთაშორისო დაძაბულობის შენელება არ ნიშნავს პრინციპული განსხვავებისა და წინააღმდეგობის მოსპობას“.

ვ. ბრანდტმა გადაჭრით დაგმო ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც ცდილობენ თანამედროვე პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენონ „50-იანი წლების რეცეპტები“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი და საქართველოს კპ კიროვის რაიკომი აწყობენ სამეცნიერო-სესიას, მიძღვნილს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის

სერგეი მირონის-ძე კიროვის

დაბადების 90 წლისთავისადმი

დღის წესრიგი:

1. ს. მ. კიროვის ცხოვრება და მოღვაწეობა (მომხსენებელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. სტურუა).

2. ს. მ. კიროვი და საქართველო (მომხსენებელი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი შ. მახარაძე).

3. ს. მ. კიროვი ახალგაზრდობის შესახებ (მომხსენებელი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბაძრაძე).

სესია ეაიმართება 1976 წლის 26 მარტს, დღის 4 საათზე ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29).

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ!

№ 110

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲣᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡ. ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲣᲙᲔᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲜ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲐᲚᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔᲐ

ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ რესურსებისა და დაუდგენელი მოწყობილობის აღწერის შედეგების სისწორისა და ამ საკითხზე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ ომსკენელა ამას წინათ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

შემოწმებით დადგინდა, რომ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ 1976 წლის 1 იანვრისათვის მატერიალური რესურსებისა და დაუდგენელი მოწყობილობის ნაშთები აღწერაში ძირითადად სწორად არის ასახული. იგი შეესაბამება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსტრუქციებსა და მითითებებს.

ამასთან დადგინდა ისიც, რომ ზოგან ზედგომი ორგანოების მითითებებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად არ იქცევენ საანგარიშგებო დისკიპლინას. არ უზრუნველყოფენ სტატისტიკურ ორგანოები ხარისხობრივი და უტყუარი ანგარიშგების დროულად წარდგენას.

რესპუბლიკის 2944 საწარმოდან, ორგანიზაციიდან და დაწესებულებიდან ანგარიში მატერიალური რესურსებისა და დაუდგენელი მოწყობილობის აღწერის შესახებ საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში 10-ე დღის დაგვიანებით წარადგინა 32-მა, ხოლო რვამ საერთოდ არ წარმოადგინა (სოხუმის საქსოვი ფაბრიკა, თბილისის გაერთიანება „სოლანი“, თბილისის № 2 მექანიკური ქარხანა, თელავისა და ქედის რაიმრეწველმბინატები, სამხრეთ ოსეთის, საჩხერისა და ონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული სამმართველოები). რესპუბლიკის 725 შემოწმებული საწარმოდან, მშენებლობიდან, საბჭოთა მეურნეობიდან და დაწესებულებიდან 98-ში დამახინჯებული იყო აღწერის მონაცემები, რის შედეგადაც დიდძალი მატერიალური დოვლათი იყო აღურიცხავი.

სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა საქართველოს სსრ მშენებლობის (მინისტრის მოადგილე ლ. თოფურია), სასოფლო მშენებლობის (მინისტრის მოადგილე ვ. გეჯაძე), კვების მრეწველობის (მინისტრის მოადგილე მ. ზოდელავა), სოფლის მეურნეობის (მინისტრის მოადგილე თ. ჩიკვაიძე), ადგილობრივი მრეწველობის (მინისტრის მოადგილე მ. ვასალია) მსუბუქი მრეწველობის (მინისტრის მოადგილე ა. აფაქიძე) და სხვა სამინისტროების საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს თბილისის საშენ მასალათა ტრესტში (მმართველი ფ. კაპანაძე) სანგარიშგებო მონაცემები მნიშვნელოვნად იყო შემცირებული, ამასთან ამ ტრესტის 8 დაქვემდებარებულ საწარმოს აღწერის დღისათვის სანგარიშგებო მონაცემები სრულებით არ წარმოუდგენია.

დიდძალი მატერიალური დოვლათი აღწერაში შეტანილი არ ჰქონდათ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს წნორის № 6 მოძრავ-მექანიზებულ კოლონას (მმართველი მოადგილე გ. სიფრარაშვილი), თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტ „ინემშენის“ თბილისის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოს (უფროსი ნ. ქუთათელაძე), საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მუსიკალური კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკას (დირექტორი გ. ხვედელიანი) და სხვ.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხე-ტყის დამზადების ტრესტში (უფროსი ა. ბუაძე) შემოწმების დღისათვის გაფორმებული არ იყო ბრძანება მატერიალურ ფასეულობათა აღწერის ჩატარების შესახებ. აქ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აღწერის შედეგები აცნობეს მხოლოდ 1976 წლის 19 იანვარს. ეს მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წარმომადგენელთა ჩარევის შედეგად მოხდა.

ამ მხრივ არც საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებშია წესრიგი. მატერიალური რესურსების და დაუდგენელი მოწყობილობის აღწერის არასწორი მონაცემების წარმოდგენის ფაქტები დაუშვეს ქუთაისის საავტომობილო, თბილისის სახეხი ჩარხების (დირექტორის მოადგილე ვ. ქუთათელაძე), თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო (დირექტორი დ. კიკნაძე) ქარხნებში, ასევთ მდგომარეობა იყო ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოში (უფროსი ვ. კუკულავა). რესპუბლიკის ქიმიური ბოკვის, ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ, ბათუმის გემთსაშენებლო, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო, ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხნებში, ქარხანა „თბილხელსაწყოში“, სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტულ ქარხანაში, ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ თბილისის კანტორასა და „საქმთავარენერგოს“ ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში.

შემოწმებამ აგრეთვე გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მატერიალური რესურსებისა და დაუდგენელი მოწყობილობის შენახვას. მაგალითად, თბილისის გაერთიანება „საქყოფქიმიაში“ 17 დასახელების დაუდგენელი მოწყობილობა ღია ცის ქვეშ იყარა. ასეთივე მდგომარეობაა ლანჩხუთის საკოლმეურნეოთაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკაში, ქარხანა „თბილგაზაპარატში“, ტრესტ „საქმარმარილოს“ კურსების გრანტის ქარხანაში, ანალოგიური დარღვევები დადგინდა „თბილპოლიმერტარის“ საწარმოებში, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორაში, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში, „საქნაშრომის“ ტყიბულის კომბინატში, საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს ლანჩხუთის პეტრის მიმღებ პუნქტში, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ახალციხის რაიმრეწველმბინატში, ახალქალაქის რაიონის კარტიკამის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.

დადგენილია ცალკეული ფაქტები, როდესაც რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ხანგრძლივად აქვთ მოცემული ორგანიზაციისათვის არასაჭირო და ზედმეტი მოწყობილობა, რის შედეგად გაყინულია მნიშვნელოვანი სახელმწიფო სახსრები. ასეა, მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმიაში“, ყვარლის რაიონის საბუესა და ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობებში, მახარაძის რაიონის ბახვის ჩაის ფაბრიკაში, დმანისის ავტოსატრანსპორტო საწარმოში, ახალციხის რაიონის, ფამაჯის საბჭოთა მეურნეობაში, ტრესტ „საქმარმარილოს“ ორჯონიკიძის სამთამადნო სამმართველოში, „საქსოფლტექნიკის“ ჩოხატაურის ბინაყოფილებაში. ამაგე რაიონის მეფრინველეობის ფაბრიკაში, მეტეხის საშენ მასალათა მრეწველობის კომბინატში და სხვ.

საანგარიშგებო დისციპლინის დარღვევები სხვა მიზეზებთან ერთად იმის შედეგიც არის რომ ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში, მშენებლობაზე, საბჭოთა მეურნეობასა და ორგანიზაციაში სახალხო კონტროლის ჯგუფები ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ დებულებით მინიჭებულ უფლებებს და არ იჩენენ პრინციპულობას ამ საქმეში სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებს დაევალათ ერთი თვის განმავლობაში შემოწმების შედეგები და მკაცრად დასჯონ კონკრეტული დამნაშავე პირები. ამასთან საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილეს ლ. თოფურიას, სასოფლო მშენებლობის — ვ. გეჯაძის, კვების მრეწველობის — მ. ზოდელავას, სოფლის მეურნეობის — თ. ჩიკვაიძის, ადგილობრივი მრეწველობის — ზ. გვასალიას, მსუბუქი მრეწველობის — ა. აფაქიძის ყურადღება მიექცეს იმას, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს სათანადო ხელმძღვანელობა მატერიალური რესურსებისა და დაუდგენელი მოწყობილობის აღწერის ჩატარებისა და ამ საკითხზე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შესრულების კონტროლის საქმეში, რის შედეგადაც საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დაამახინჯეს აღწერის საანგარიშგებო მონაცემები. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს წნორის № 6 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსის მოადგილე გ. სიფრარაშვილი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. თბილისის მუსიკალური კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის დირექტორს გ. ხვედელიანს და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საშენ მასალათა მრეწველობის ტრესტის მმართველს ფ. კაპანაძეს, საყვედური გამოეცხადა, ხოლო თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის დირექტორის მოადგილეს ვ. ქუთათელაძეს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხე-ტყის დამზადების ტრესტის მმართველს ა. ბუაძეს შენიშნა მიეცათ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის დირექტორის დ. კიკნაძის პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად ლენინის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტს გადაეცა.

კომიტეტმა ცნობად მიიღო ის, რომ ტრესტ „საქკვებრემმშენის“ № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი ნ. გურგენიძე, ტრესტ „ინემშენის“ საწარმოო ტექნიკური კომპლექტაციის სამმართველოს უფროსი ნ. ქუთათელაძე განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან, ხოლო „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოს უფროსს ვ. კუკულავას საყვედური აქვს გამოცხადებული.

ᲣᲙᲐᲢᲠᲝᲜᲝᲓ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲔᲡ...

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ?

ᲖᲣᲓᲘᲓᲘᲡ საკოლმეურნეო ბაზარი ერთ-ერთი დიდია რესპუბლიკაში. აქ ყოველთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეა, განსაკუთრებით შემოდგომაზე, როცა შემოაქვთ საზამთრო, ნესვი, ხილი. ბაზარში ხშირად ნახავთ შორეული რაიონების კოლმეურნეებსაც. ეს არც არის გასაკვირველი, ზუგდიდი სამრეწველო ქალაქია — ენგურჰესის დიდი მშენებლობის წყალობით. ამიტომ ბაზარსაც დიდი ასპარეზი აქვს.

ზუგდიდში ერთადერთი სასტუმრო „ოდიშია“, თუ მზედგელობაში არ მივიღებთ ენგურქალდაკომბინატის სასტუმროს, რომელიც საკუთარ სტუმრებს ემსახურება. ცხადია, მარტო „ოდიში“ ქალაქის სტუმრებს ვერ აუდის, ალიან გადატვირთულია. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ საოცრად წლებში დაისვა საკითხი ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის სასტუმროს მშენებლობის დაწყებისათვის.

ბევრი მიმოწერის შემდეგ 1966 წელს შეიქმნა ხუთსართულიანი სასტუმროს მშენებლობის დოკუმენტაცია 381.609 მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით.

1969 წელს საძირკვლის გათხრაზე პირველი ბარი დაჰკრეს ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციის №133 მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებლებმა. ამ წელს მშენებლებს უნდა შეესრულებინათ 23 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მაგრამ რადგანაც მშენებლობისათვის საჭირო ტერიტორია არ იყო განთავისუფლებული სხვა ნაგებობებისაგან, მხოლოდ 18.200 მანეთის სამუშაო შეასრულეს. 1970 წლის თანხა 20 ათასი მანეთი, მშენებლებმა აითვისეს.

შემდგომ წლებში მშენებლებს ჰქონდათ ყოველგვარი შესაძლებლობა გეგმის შესრულებისათვის, მაგრამ დამკვეთმა, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ და საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველომ ვერ უზრუნველყვეს მშენებლობა დაფინანსებით.

უილაჯოდ, დანაშაულებრივად დაიგეგმა სხვა წლებში მუშაობა. 1972 წლის დასაწყისში 140 ათასი მანეთის სამუშაო დაიგეგმა, რომელიც მაშინვე შეცვალეს 5 ათას მანეთზე დაიყვანეს და ა. შ.

ამ ხნის განმავლობაში მშენებლებმა მოახერხეს პირველი სართულის სათავსების მშენებლობის დამთავრება და მას ორი სართული დაუშენეს. ახლა ბაზრის ტერიტორიის წინ დაწლის პირას მისული მშენებლობა საცოდავად გამოიყურება. ყანგი ჭამს მის არმატურას, ხე-ტყის ხარაჩოები, მშენებარე ობიექტის შემორაგული ლობე მთლიანად დალპა. ჩონჩხად ქცეული მშენებლობა სიბინძურის კერად გადაიქცა, დაჭაობდა.

ზუგდიდში დღეს ბევრი ახალი მშენებლობა მიმდინარეობს. ბევრგან მშენებლებს მექანიზმები ალიათ. განსაკუთრებით ჭირს ამწეები.

სასტუმროს მშენებლობაზე გამართული კოშკურა ამწე კი ხუთ წელზე მეტია უმოქმედოდ დგას. მშენებლებმა ვერ მოიზიდეს. მაგ. ფალეევმა შეჭამა ეს უნიკალური ტექნიკა.

რადგანაც საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს არ ეყო საკმარ თანხები მშენებლობის დასამთავრებლად, ქალაქის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ საავარო ცენტრად გადაეკეთებინათ იგი, რომ რაიმე „შველოდა“ სასტუმროსათვის განკუთვნილ მშენიბლობას. ამ მიზნით ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1975 წლის გადაწყვეტილებით სასტუმროს შენობა გადაკეთდა სავაჭრო ცენტრად. ამასთან დაკავშირებით ეთხოვა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მოეხდინა პროექტის გადაკეთება და გეგმა შესაბამისი თანხა აღნიშნული მშენებლობის დასამთავრებლად.

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. ამ ერთ წელს მთლად ჩონჩხად იქცა იგი. რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო კი არ ჩქარობს. არც პროექტი, არც თანხა დღემდე არ ჩანს.

ზუგდიდში სავაჭრო ობიექტები ბევრია. თითქმის ყოველ ნაბიჯზეა განლაგებული სასურსათო, სამრეწველო და სამეურნეო მაღაზიები, სავაჭრო ცენტრი, რა თქმა უნდა, (უფრო როდია, მაგრამ ბაზრის სტუმრებმაც რა ქნან, კვლავინდებურად როდემდე უნდა ათინონდეს ერთ ოჯახებში?

Გ. ᲜᲝᲓᲘᲐ,

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ საკ. კორ.

ᲖᲐᲖᲐᲕᲬᲧᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ. ᲐᲥ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘ — ᲑᲐᲠᲒᲐ, ᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲓᲐ Ა. Შ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘ: ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲔᲠᲔᲠᲘ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ) ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲘᲠᲘᲡ № 3 ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ Ვ. ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ, ᲑᲣᲚᲐᲚᲢᲔᲠᲘ Ნ. ᲑᲔᲥᲐᲣᲠᲘ, ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘ Ო. ᲯᲝᲮᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘ Გ. ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ ᲕᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲧᲝᲤᲝ ᲠᲒᲐᲚᲡ ᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲑᲔᲑᲘ.

Ბ. ᲑᲝᲯᲝᲮᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ავტოსატრანსპორტო საწარმოს წარმატებებში სახალხო კონტროლიორებმაც შეიტანეთ მნიშვნელოვანი წვლილი.

მუშაობის მეტი ეფექტიანობისათვის ჯგუფში შექმნილია 3 სექტორი. ისინი მოქმედებენ ექსპლოატაციისა და შრომის უსაფრთხოების დარგში. ამასთან ერთად გაწყობთ რეიდებს, ვამოწმებთ ექსპლოატაციის წესების დაცვას.

რეიდმა ქალაქში გამოავლინა, რომ მძღოლები ს. ბარამიძე, ხ. ოქროპირიძე, დ. კასიტერიდი და სხვები რეისზე გასვლისას არღვევდნენ ვრაფიკს. საწარმოს დირექციამ ჩვენი წარდგინებით მათ უარი უთხრა პრემიებსა და დამატებით ხელფასზე, გარაჟში ვვიან დაბრუნებისათვის მძღოლი თ. ჩელებაძე მოხსნა სამუშაოდან.

სახალხო კონტროლის ჯგუფმა ბევრჯერ მიაქცია ყურადღება ამას, რომ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ავტომანქანის სარეცხი დანადგარი, სარემონტო სამკერი. ჩვენი ჩარევით ეს საქმეც მოგვარდა. გამოიყო სათანადო ტერიტორია.

ახალ ხუთწლედში ავტოტრანსპორტელებს გადაწყვეტილი გვაქვს ვიბრძოლოთ მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, ხაზზე გაგუშვათ მხოლოდ ტექნიკურად გამართული მსუბუქი ტაქსები, ავტობუსები, აღვკვეთოთ მოცდენები.

რ. ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ,

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ავტოტრანსპორტის საწარმოს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲨᲐᲕᲘ ᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲮᲐᲚᲐᲗᲖᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲰᲘᲗᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

ᲒᲐᲖᲗᲘᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲕᲘᲠᲓᲨᲘ „ᲨᲐᲕᲘ ᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲮᲐᲚᲐᲗᲖᲔ“ ᲓᲐᲜᲔᲑᲭᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲨᲐᲕᲘ ᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲮᲐᲚᲐᲗᲖᲔ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲚᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲰᲘᲗᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ Ნ. ᲑᲐᲨᲐᲫᲔ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲬᲔᲠᲡ:

გაცნობებთ, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

პარტიის ჰიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მკაცრად იმსჯელა ქალაქის საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებაში გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე. განყოფილების გამგეს სკკპ წევრს გ. ვასაძეს გამოუცხადა საყვედური საშრომიცხვო ბარათში შეტანილი და გაათავისუფლა თანამდებობიდან.

მუშაობაში დაშვებულ ნაკლოვანებებისათვის მთავარი ექიმის აპარატმა ქალაქის საავადმყოფოს თვალის განყოფილების გამგე ვლ. აბულაძე გაათავისუფლა სამუშაოდან.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა ქალაქის საავადმყოფოს ბავშვთა კვების გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე და გაატარა მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი: საავადმყოფოს მთავარ ექიმს, სკკპ წევრს **გ. ᲯᲐᲒᲝᲠᲐᲫᲔᲡ** გამოუცხადა საყვედური და გაათავისუფლა თანამდებობიდან. სამუშაოდან გათავისუფლდნენ საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში **ბ. ᲛᲘᲮᲔᲚᲐᲫᲔ,** მთავარი ბუღალტერი სკკპ წევრი **ქ. ᲙᲣᲞᲐᲩᲐᲫᲔ,** დიეტექთანი **თ. ᲙᲐᲪᲐᲜᲐᲫᲔ,** მათი საქმე შემდგომი ძიებისათვის გადაეცა ქალაქის პროკურატურას, სასტიკი საყვედური გამოეცხადა და პირობით იქნა დატოვებული დაკავებულ თანამდებობაზე მთავარი ექიმის მოადგილე მომარაგების დარგში **დ. ᲤᲐᲩᲐᲚᲫᲔ.**

მიღებულია ზომები ქალაქის ჯანმრთელობის სისტემაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲓᲣᲭᲐᲜᲘᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲡᲐᲩᲘᲥᲠᲘᲡ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებები იყო მხილებული კრიტიკულ წერილში, რომელიც ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗᲘ“ დაიბეჭდა. ამის გამო საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი Ვ. ᲡᲝᲑᲝᲚᲔᲕᲘ რედაქციის ატყობინებს:

სამინისტრომ ადგილზე შეამოწმა და განიხილა გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული სტატია „თითქოს კერძო დუქანია“. შემოწმების შედეგად გაზეთში მოყვანილი ფაქტები სავსებით დადასტურდა.

საჩხერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი მ. დადიანი მკაცრად იქნა გაფრთხილებული, მიეცა მითითება მტკიცე კონტროლი დაწესოს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და დამნაშავეთა მიმართ მიიღოს მკაცრი ადმინისტრაციული ზომები.

სამინისტროს დავალების შესაბამისად საჩხერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში გატარებულია კონკრეტული ადმინისტრაციული და ორგანიზაციული ღონისძიებანი. მომსახურების გაუმჯობესების, საქვითარო მეურნეობის მოწესრიგების, ხელოსანთა პასუხისმგებლობის ამაღლების უზრუნველსაყოფად. ამასთან გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული ფაქტები და ნაკლოვანებანი განხილულ იქნა სამმართველოს დიდ პარტიულ კრებაზე, რომელმაც დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ

ᲞᲐᲠᲔᲚᲘ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა რაიკოოპერატივის პურკომბინატის მუშაობა. გამოირკვა, რომ ამ საწარმოს ხელმძღვანელობა (დირექტორი დ. ბაკურაძე) სათანადო ყურადღებას არ აქცევს შრომის ორგანიზაციას, პურის ხარისხისა და სტანდარტების დაცვას, ტექნიკური და ლაბორატორიული ანალიზების სწორად განსაზღვრას, ამის გამო არის ნაკლოვანებები, უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები. კომიტეტმა დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის პურკომბინატის დირექტორს დ. ბაკურაძეს გამოუცხადა საყვედური, ცალის უფროსს ქ. ლუქუნაძეს სასტიკი საყვედური, ხოლო მთავარ ბუღალტერს შ. ჩოჩიშვილს შენიშვნა მისცა.

ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘ

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ საწარმო-დაწესებულებებში სამსახურებრივი შეთავსების თაობაზე დადგენილების შესრულების შედეგები განიხილა სახალხო კონტროლის კომიტეტმა. როგორც ითქვა, ამ მნიშვნელოვან საქმეს ყველგან სათანადო ყურადღებით როდი მოეკიდნენ. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა სამედიცინო დაწესებულებებში (რაიონის მთავარი ექიმი ი. თავდგირიძე), სადაც 10-მდე დარღვევა გამოვლინდა. ამ მხრივ ნაკლოვანებებია აგრეთვე კულტურის განყოფილებაში (გამგე ნ. ღუმბაძე), მუსიკალურ სკოლაში (დირექტორი შ. ღოღობერიძე), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო შ (უფროსი ს. მიქელაძე), სპორტკომიტეტში (თავმჯდომარე ს. კაციტაძე) და სხვ. კომიტეტმა ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად პარტიის შუახევის რაკომში შეიტანა.

ᲐᲚᲘᲒᲝᲕᲘ

ᲤᲐᲮᲐᲠᲐᲚᲘᲡ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში სახელმწიფო თანხების არასწორად ხარჯვის და საფინანსო დისციპლინის დარღვევებ ᲗᲐᲡ შედეგებზე იმსჯელა რაიონის კონტროლის კომიტეტმა, ამ მეურნეობაში (დირექტორი უ. ჰუსეინოვი, მთავარი ბუღალტერი ბ. მახმუდოვი) სულადობის გეგმების შესასრულებლად მოსახლეობიდან წესის დარღვევით შეიძინეს პირუტყვი, რომელიც 4.960 მანეთით მეტი გადაიხადეს. ამ დარღვევისათვის კომიტეტმა მეურნეობის დირექტორს უ. ჰუსეინოვს და მთავარ ბუღალტერს ბ. მახმუდოვს სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

ᲙᲐᲠᲘᲥᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ᲒᲐ



ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲥᲔᲓᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲕᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ-ᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲔᲓᲖᲐ ᲗᲑᲘᲚᲒᲕᲘᲠᲐᲑᲛᲨᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ.

ᲧᲐᲠᲗᲝ მასშტაბის სამუშაოს შორის, რომლებიც თბილგვირაბმშენის კოლექტივმა მეათე ხუთწლედში უნდა შეასრულოს, ერთ-ერთი გრანდიოზულია საავტომობილო გვირაბის მშენებლობა კავკასიონის მთავარ ქედზე — როკის უღელტეხილზე. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გადაწყდა 57,3 კილომეტრი სიგრძის ავტოსაგზაო მაგისტრალის გაყვანა ჯავიდან ალაგირის მისადგომებამდე (სოფელ ბურონამდე). ეს ტრასა უმოკლესი გზით დააკავშირებს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს. ამ მაგისტრალის ტექნიკური პროექტი ერთობლივად შეიმუშავეს „ლენგიპროტრანსის“, „სოიუზდორპროექტის“, „ენერგოსეტპროექტის“ და „ენერგოსეტპროექტის“ ინსტიტუტებმა, ხოლო მუშა ნახაზებს ამუშავებს კავკასიის სახელმწიფო საპროექტო კვლევა-ძიებითი ინსტიტუტი „კავგიპროტრანსი“.

გზის გაყვანა ტრესტ „სეკავდორსტროის“ აქვს მინდობილი. გზის სამუშაოებზე-ბურღვა-აფეთქებას აწარმოებს სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ტრანსვზრიავპრომის“ № 78 სპეციალიზებული სამმართველო (უფროსი გ. დიდიძე).

კავკასიონის მთავარ ქედზე გვირაბის გაყვანა პირველად ხდება. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაში ასეთი სიდიდის საავტომობილო გვირაბი ჯერ არ აშენებულა. იგი უდიდესია საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც.

გვირაბის გაყვანას ვიწყებთ სოფელ ზემო როკის მახლობლად, ზღვის დონიდან 2.200 მეტრის სიმაღლეზე (თვითონ როკის გადასასვლელი ზღვის დონიდან 2.995 მეტრზე მდებარეობს). იგი ორმხრივი მოძრაობისათვის არის გათვალისწინებული. გვირაბი ძირითადად მოსოფითური ბეტონით აიგება, სავალ ნაწილზე კი, ჩვეულებრივ, ასფალტი იქნება დაგებული. იმ 95 მილიონი მანეთიდან, რომელიც ჯავა-ალაგირის მაგისტრალის მშენებლობისათვის არის გათვალისწინებული, გვირაბის გაყვანისათვის 44 მილიონი მანეთია გამოყოფილი.

თბილგვირაბმშენში შარშან შეიქმნა ახალი სამეურნეო ერთეული — № 13 საგვირაბო რაზმი, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრა გამოცდილ ინჟინერს გივი ყიფიანს.

გასული წლის ივლისის პირველი რიცხვებიდან შვავუდექით მოსამზადებელ სამუშაოს. ძირითადად ორ მთავარ ობიექტზე ვშრომობთ. ცხინვალში იგება ბაზა თავისი დამხმარე ნაგებობებით, ხოლო ზემო როკში შუშათა დასახლება, რომელიც 500 ოჯახზეა გათვალისწინებული. ჩვენი მიზანია ისე მოვაწყოთ დაბის ტიპის კომპლექსი, რომ იგი ზამთარ-ზაფხულ აკმაყოფილებდეს მშრომელთა მოთხოვნებს — აქ ხომ შორეული რაიონებიდან ჩამოვლენ მშენებლები და წლობით იქნებიან მოწყვეტილი ოჯახებს.

ზემო როკში უკვე გამოიკვეთა დაბის პროფილი — შესრულდა დიდძალი მიწის სამუშაოები, იგიო სამი საცხოვრებელი სახლი (თვითეული 24-ბინიანია), საწყობები, სასადილო, კანტორის შენობა, დროებითი სადაზელე ელექტროქვესადგური.

გვირაბის მშენებლობისას ბევრი სირთულე შეგვხვდება. ცხინვალის ბაზიდან გვირაბის პორტალამდე ავტომანქანებით სისტემატურად უნდა გადავზიდოთ ათასობით ტონა სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალა.

ბევრს ინტერესებს, როდის დაიწყება გვირაბის გაყვანა. ეს პირველ რიგში დაბის მშენებლობის და პორტალთან დამხმარე ნაგებობათა დროულად დამთავრებაზეა დამოკიდებული. მშენებლები გეგმირდებიან, რომ გვირაბის გაყვანას წლეულს ზაფხულში შეუდგებიან.

საავტომობილო გვირაბის პარალელურად აწარმოებს მეორე, მაგისტრალის გასანივეველი გვირაბის გაყვანა. გასახლავებელი გვირაბის მშენებლობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მისი გაყვანა სწრაფი ტემპით უნდა მოხდეს და 300-400 მეტრით უნდა გაესწროს მთავარ გვირაბს. გასანიავებელი გვირაბით იწარმოებს ქანების დაზვერვა. შემდეგ გვერდით წოლოხვრელებით შეუერთდება საავტომობილო გვირაბს, და ეს სამუალებას მოგვცემს გავხსნათ დამატებითი სანგრევები. ასე, რომ მთავარი საავტომობილო გვირაბის გაყვანა ერთდროულად რამდენიმე სანგრევში იწარმოებს.

სამუშაოთა ტემპის დაჩქარების თვალსაზრისით გადავწყვეტეთ ალაგირის მხრიდანაც შეეუდგეთ შემხვედრი გვირაბის მშენებლობას. დიდი ხანი არ არის, რაც აქ სამშენებლო უბანი (უფროსი თ. ხვადაგიანი) გაიხსნა, უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

გარდა ამისა როკის გადასასვლელის მეორე მხარეს, მეორე პორტალიდან სოფელ ბურონამდე კიდევ უნდა ავაგოთ ორი შედარებით მცირე ზომის საავტომობილო გვირაბი (მას მეორენაირად კოსტან-გვირაბს უწოდებენ).

რა თქმა უნდა, ასეთი რთული ნაგებობის მშენებლობაზე გადაწყვეტი სიტყვა ტექნიკურ პროგრესს ეკუთვნის. როკის გვირაბისათვის მოსკოვის ერთ-ერთ ქარხანაში მზადდება სპეციალური გასაყვანი კომპლექსი, რომელშიც შედის საბურღავი ურიკა, ბენემობეტონნიმაშსხმელი, ლითონის გადასაადგილებელი ქარგილი, გვირაბის კედლების დამჭიხრხავი აგრეგატი და სხვ. მექანიზმების საშუალებით იწარმოებს მონგრეული ქანების გამოზიდვა და სხვა მომამტევადი საქმეები.

თბილისელ გვირაბმშენებელთა ერთსულოვანი მისწრაფებაა ხორცი შეასხან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, პირნათლად შეასრულონ მათზე მინდობილი ეს დიდი საქმე.

Ვ. ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ,
თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: როკის უღელტეხილი. ჯვრით აღნიშნულია ადგილი, საიდანაც გვირაბის გაყვანა უნდა დაიწყოს.

Შ. ᲫᲘᲛᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲮᲔᲚᲦᲐᲡᲘ — ᲛᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲓᲐᲜ

ᲜᲣᲗᲘᲗ წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდება ხოლმე, როცა საწარმოში ხმა გავარდება, ხელფასი მოიტანესო. ხელდახელ გამორთავენ მანქანებს, მიაწყობენ იარაღებს, ჩამოიბურტყვენენ ტახსაცმელს და, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ყველა გარბის — ვინ წინა და ვინ უკანა! ასეთ დროს ზოგი ქარხნისა თუ ფაბრიკის შიგაგზები სარბენ ბილიკებს უფრო ემსგავსება, ყველა ცდილობს ფინიშთან — სალაროსთან მიასწროს.

ასე ხდება სულ ცოტა თვეში ორჯერ — ავანსისა და ანგარიშის გასწორების დღეებში. ფაზრი მეტი ინახულოთა და მოუთმენლად მიიჩქარიან, როცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი, თვისა თუ კვარტალის ბოლოს პრემიის ან „შეცადეტე ხელფასს“ ელიან. რა დასამალავია და, — ხელფასის შემდეგ ზოგიერთი იმ დღეს აღარც კი უბრწყინდება სამუშაო ადგილს და ასლმასხო სასაუზმეში შეუფვეს ხოლმე.

იქნებ კგელგან ზუსტად ასე არ ხდება, ეგებ ზოგან მეტ-ნაკლები წესრიგიც არის დამყარებული, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ მომენტში როგორღაც ამოგარდება ხოლმე ცხოვრება ნორმალური კალაპოტიდან და საწარმოს ეუფსა არიტმიულად იწყებს ცემას.

ხელფასი ის ყველაზე თვალსაჩინო და ხელშესახები ფილა, რომელსაც ურეგებს თავის წევრებს სოციალისტური საზოგადოება სოციალიზმის უფეშმდებლური პრინციპით — ყველასგან უნარის მიხედვით, ყველას თავისი შრომის მიხედვით. ამიტომ მშრომელ კაცს თავისი ღვაწლისა და რუდუნების ფასი ზუსტად, დაუგვანებლად და ზედმეტი დროის დაუკარგავად უნდა მივუზღოთ. განა ეს ადამიანებზე და ადამიანებისათვის ზრუნვისაკენ იმ საერთო მისწრაფების სულისკვეთების გამოხატულება არ არის, რომელიც სკკპ XXV ყრილობასა და საქართველოს კომუნისტთა XXV ყრილობაზე სუფევდა? განა მშრომელი კაცის ამაგის დაფასებისა და მისი კანონიერი უფლების დაცვის სულისკვეთებით არ არის გამსჭვალული რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული მრავალი გადაწყვეტილება.

ჩვენ მხოლოდ ერთ ძირითად პრობლემაზე ვაპირებთ ყურადღების გამახვილებას: ჯამაგირების დარიგება ისე არ არის ორგანიზებული, რომ უმმად არ იჯარგებოდეს ძვირფასი სამუშაო წუთები. და აი ამ დროის დანაკარგი კი თურმე არც ისე მცირეა, რომ მასზე არ ღირდეს შეჩერება. პირიქით.

კავშირის მასშტაბით 39 დიდ საწარმოსა და გაერთიანებაში მოწყობილი შემოწმების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ხელფასის გაცემის გამო თვითეული მუშის მიერ დაკარგული საშუალო დრო თვიურად ზოგან 10 წუთს არ აღემატება, სხვაგან კი 3 საათს აღწევს, ეს იმაზეა დამოკიდებული, სად როგორ აქვთ საქმე აწყობილი. საერთო დანაკარგი იმ საწარმოებში წლიური გაანგარიშებით თითქმის 58 ათასი კაცდღე გამოვიდა.

თავისთავად ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა ასეთი დიდი დანაკარგების თავიდან აცილება? — სწორედ ამ კითხვით მივმართეთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის მმართველს ვ. ᲯᲘᲜᲯᲘᲩᲐᲫᲔ.

— დიახ, შეიძლება! — გვიპასუხა მან, — და ზოგან ისე წარმატებითაც არის გადაჭრილი ეს ამოცანა, რომ პრობლემად აღარ ითვლება. ამას ადასტურებს მრავალი მსხვილი სამრეწველო საწარმოს, კერძოდ ამ საქმის პიონერის — მინსკის საავტომობილო ქარხნის — „ბელაზის“ გამოცდილება, სადაც კოლექტივის თანხმობით ჯერ კიდევ 1970 წლიდან გადავიდნენ მუშებისა და მოხამხურეებისათვის ხელფასის დარიგების ახალ ფორმაზე. მათი მაგალითი შემდგომ წლებში სხვა დიდმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმაც გადაიღეს, მათ შორის, ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთმა კოლექტივმა.

როგორია მშრომელებთან ხელფასის ანგარიშსწორების ეს ახალებური, პროგრესული წესი, რა არის მისი არსი და უპირატესობა?

ეს ახალი ფორმა გახლავთ ხელფასების (აგრეთვე პრემიების) დარიგება, შრომის უუნაარობის ფურცლის გაბადება შემნახველი სალაროების საშუალებით. ასეთი სალაროები იხსნება ადგილებზე საწარმოებში, ან მუშათა დასახლებებსა და დაბებში. საწარმოს ორგანიზაციის ბუღალტერია წინასწარ გამზადებულ ტაბულიაგრამას — ჯამაგირების უწყისებს გადასცემს შემნახველ სალაროს, იქ კი ეს თანხა ჩაირცხება თვითეული მუშისა და მოსამსახურის პირად ანგარიშზე, როგორც ანაბარი. მათ შეუძლიათ არასამუშაო საათებში, მათთვის მოსახერხებელ დროს მიიღონ კუთვნილი თანხა (ხელფასის გაცემის რეჟიმი — დღეები და საათები დგინდება საწარმოს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით). თუ ვინმეს იმ დღეებსა და საათებში არ უსურხდება მიღება, თანხა ჩაირცხება პირად ანგარიშზე, როგორც ანაბარი (აქედან გამომდინარე მეანაბრის ყველა უფლებით, შესაბამისი პროცენტების დარიცხვითა და სხვ.) და როცა უნდა, მაშინ გაიტანს მას. როცა კაცმა იცის, რომ, რა დროსაც უნდა — დღეს არა, ხვალ, ხვალ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲜᲐᲠᲒᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ

არა, ზეგ — მივა და მაშინვე გამოიტანს კუთვნილ ფულს, აღარ იჩქარის, დამშვიდებულია და ამიტომ აღარც ჩნდება დიდი რიგები ხელფასის მიღების დროს.

პრაქტიკა და არსებული გამოცდილება ნათლად ადასტურებს, რომ ასეთი ფორმა პროგრესულია და მრავალმხრივ სასარგებლო როგორც მუშისთვის, ისე საწარმოს ადმინისტრაციისა და სახელმწიფოსათვის.

ჯერჯერობით ასლებურად ხელფასის ანგარიშსწორებას საქართველოში სულ ექვსი საწარმო და ორგანიზაცია ახორციელებს. ესენია: თბილისის მეტროპოლიტენი, ქუთაისის — „ელექტრომონტაჟი“, საკონსერვო ქარხანა, № 2657 ავტოკოლონა, ქალაქის ჯანმრთელობის ქსელის დაწესებულებები და ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა. ამ ორგანიზაციათა პირველი შედეგები, საერთო აღიარებით, იმედის მომცემი და სასარგებლოა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა კომუნალური გადასახადების გადახდისას მშრომელთა დროისა და ფულადი დანაზოგი (12 ათას მანეთზე მეტი), რომელიც მიიღო თბილისის მეტროპოლიტენმა მოლარეთა რიცხვისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებით. არაფერს ვამბობთ სამუშაო დროის შემცირებით მიღწეულ შედეგებზე, რადგანაც ამისი აღრიცხვა არ უწარმოებიათ.

ხელფასის ანგარიშსწორების ამ წესს ბევრი სხვა სიკეთეც აქვს, რაც მეანაბრეს დაუზოგავს დროის ბიუჯეტს, თუ კი იგი გამოიყენებს მას.

მუშას შეუძლია დაავალოს თავის ბუღალტერიას ან შემსალაროს, რომ თავისი პირადი ანგარიშიდან ყოველთვიურად გაისტუმროს ბინის ქირა, კომუნალური, სინათლის, ტელეფონის გადასახადები, ხოლო ხანგრძლივი ხმარების ნივთების, მაგალითად, ავტომობილის, პიანინოს, მაცივრის, ტელევიზორის, ავეჯის გარნიტურისა და სხვათა (200 მანეთზე მეტი ღირებულების ნივთების) შესაძენად კი შემსალაროდან ფულის გაუტანლად გადაურიცხოს სავაჭრო ორგანიზაციას საჭირო ოდენობის თანხა, მას კი მისაცემენ მხოლოდ ჩეკს, რომლითაც მაღაზიაში მიიღებს საკონეკს. სხვათა შორის, ბეეროგან, ასე ვთქვათ, ცენტრალიზებული წესით ხდება პროფკავშირული საწევრეობის შეტანაც.

გვინდა კიდევ აღვნიშნოთ ერთი საგანგებლობა, რომელიც ამ ფორმას მოაქვს. ცნობილია, თუ რა ფაროდ იყო ჩვენს რესპუბლიკაში გავრცელებული სახელმწიფო სახსრების გახიანების მავნე პრაქტიკა „მკვდარი სულების“ მიწერების ჭიკის, როცა უწყლისებში შეაქონდათ არარსებული პირები, ვითომც მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის და ხელფასს ურიცხავდნენ, შემდეგ კი იმ ფულს სხვები ითვისებდნენ. მეშნახველი სალაროებიდან ხელფასის გაცემა სპობს ამგვარი მითვისების ობიექტურ შესაძლებლობას.

არის კიდევ არაპირდაპირი ხასიათის სიკეთე, რომელიც ამ ახალი ღონისძიებებიდან გამომდინარეობს — აღმოიფხვრება ხელფასის დროს ნებსით თუ უნებლიეთ ხურდის დატოვება ან მოლარეების მიერ ხურდის მითვისება.

ყური უგდეთ, რას ამბობს მეტროს ელექტრომატარებლის მოწინავე მეგანქანე მ. ᲩᲘᲨᲕᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: გამოგიტყდებით, ამ სიახლეს პირველად ეეჭის თვალით ვუყურებდით, ახლა კი სხვანაირად ვეჩეკ კი წარმოგვიდგენია, მაგრამ, როცა გინდათ და მშვიდად, წყნარად აიღებთ ხელფასს, კაცი არ ბრნასავს უკმაყოფილო, მადლიერი კი ყველაა.

— მაგ რა უშლის ხელს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში უფრო აქტიურად ხდებოდეს ხელფასის გაცემის ახლებურ ფორმაზე თანდათანობითი გადასვლა?

ამ კითხვაზე სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა შ. რამიშვილმა ასე გვიპასუხა:

— მიზეზი ის არის, რომ ოუმცა ჩვენ შევთავაზეთ, ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი მაინც არ აფორმებს ხელშეკრულებას ცენტრალურ შემნახველ სალაროებთან, თავიდან იცილებს „ზედმეტ თავსატეხს“ — შემსალაროსათვის საჭირო ფართობის შენობის გამოყოფასა და მის სათანადოდ მოწყობას, საშტატო ერთეულებსა და საანგარიშო ტექნიკის გადმოცემას (თუ კი შეუძლია), რაც ასეთ დროს აუცილებელია.

არ გვინდა ისე გაგვიგონ, თითქოს ანგარიშს არ ვუწევდეთ იმ სირთულეს და სიძნელეებს, რომელიც თან ახლავს ხელფასის ანგარიშსწორების ახლებურ ფორმას და მდგომარეობისა და გარემოების გაუთვალისწინებლად ვქადაგებდეთ მის ხელაღებით დანერგვასა და მასობრივ გავრცელებას. ეს არ იქნებოდა საკითხის სწორი გაგება. მართალია, არ არის საჭირო ზეადტი აჩქარება, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის ფართო მოსამზადებელი და ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა გაჩაღდეს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს მასზე გადასვლა, ისიც — ერობაშად, კამპანიურად კი არა, არამედ მოფიქრებულად და თანდათანობით, მართალია, ასეთი ღონისძიება მხოლოდ შრომითი კოლექტივების თანხმობით ხორციელდება მაგრამ ერთიც უნდა გვახსოვდეს: არც გუულხელდაკრეფილი დგომითა და ერთი ადგილის ტკეკნინთ წავა საქმე წინ.

Ს. ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: სტატიაში აღძრული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურად ეღერს დღეს, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და მეათე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის გაჩაღებული ბრძოლის დღეებში.

საკითხავია, რა უშლის ხელს ხელფასის ანგარიშსწორების ახლებური ფორმის დანერგვას, ვთქვათ თუნდაც დიდ საწარმოებში — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა სხვა ქარხნებში? რედაქცია ელის პასუხს ამ საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან.

ᲒᲐᲛᲝᲤᲕᲔᲜᲐ „ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ“

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში გაიხსნა თემატიკური გამოფენა „ლენინური კურსით“.

წარმოდგენილი მასალა — მეცხრე ხუთწლედში საბჭოთა ხალხის, საქართველოს სსრ მშრომელების მიერ მოპოვებულ წარმატებათა დოკუმენტური მატიანე — ისახავს, თუ რა ენთუზიაზმით შრომობენ ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ილიჩის ანდერძს ახორციელებენ.

თვალსაჩინო ადგილზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ამ წერილების ფოტოასლები, რომლებიც მან გამოუგზავნა რესპუბლიკის მეცხრე ხუთწლედის გვარდიელებს.

მინიატიურული რუკები ასახავს დიდმნიშვნელოვან მშენებლობებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში აშენდება 1976-1980 წლებში.

გამოფენის მასალები ხაზს უსვამს სკკპ XXV ყრილობის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას, გვაცნობს პარტიის მორიგ ამოცანებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. (საინფორმაციო).

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ — ᲑᲐᲛᲔᲚᲔᲑᲡ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲘᲡ რაიონის მაღალმთიანი სოფლის ჩქვალერის ახალგაზრდებს მიმოწერა აქვთ ბამის ნია-გრუზინსკაიას მშენებლებთან. არც მშენებლები ივიწყებენ მათ. მეგობრულ ბარათებთან ერთად ახალგაზრდებს გამოუგზავნეს დაბის დასახლების, მშენებლობის მიმდინარეობისა და მუშაობის პროცესების ამსახველი ფოტოსურათები. ამ სურათებთან და წერილებთან ერთად პიონერებმა (უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. ქარდავა) შთა გამცემლიძის სახელობის საშუალო სკოლაში მოაწყეს ბამის მშენებელთა სტენდი, სადაც გამოფინეს ჟურნალ-გაზეთებში ასახული ბამის მშენებელთა თითქმის ყველა მასალა, მშენებლობის რუკა კი მოათავსეს ღამაზ ჩარჩოში.

სკოლის პიონერებმა ნია-გრუზინსკაიას მშენებლებს ხილის ამანათებთან ერთად გაუგზავნეს მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილების ამსახველი ფოტოსურათები მშენებელთა ბიბლიოთეკის შესავსებად.

Გ. ᲜᲝᲓᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲙᲕᲜᲐ

ᲐᲓᲘᲖᲔᲜᲘᲡ რაიონის სოფელ ბოლაჯაურის საშუალო სკოლის VIII-X კლასების მოსწავლეებმა მოაწყეს ქარშრობა თხილამურებით, რომლის დევიზი იყო: „პარტიის მოწოდების პასუხად — მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის!“.

ლაშქრობა მოეწყო მარშრუტით: ბოლაჯაური — ოქროსციხე — ფხერო — ზემო ენთელი — შორაველი — ბოლაჯაური.

ბოლაჯაურელ მოსწავლეებს ოქროსციხის მიდამოებში შეუერთდა აგრეთვე სოფელ დიდი სმადის 8-წლიანი სკოლის მოლაშქრეთა გუნდი. ამან კიდევ უფრო საინტერესო გახადა ეს სპორტული ღონისძიება — მოსწავლეთა ლაშქრობა, რომელიც წარმატებით დამთავრდა.

ლაშქრობის მონაწილეებს ჩაეთვალათ „მშთ“ ნორმატივები თხილამურებით გადასვლაში.

Შ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ
26 მარტი
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲐᲓᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲛᲝᲚᲝᲐᲚᲐᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲒᲐᲚᲦᲐᲓᲘ. (საკდესი). ეგვიპტისა და ისრაელის მეორე შეთანხმება სინაზე ჯარების დაშორებ. შორების შესახებ იმ ეტაპობრივი პოლიტიკის შედეგი, რომელსაც შეერთებული შტატები ადგას, რათა ძირი გამოუთხაროს არაბთა სოლიდარობას და შეარყიოს არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, განაცხადა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ფარუკ ალ-კადუმიმ.

პალესტინის წარმომადგენელმა გაზეთ „ტარიკ ალ-შაბაბის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ შეთანხმებას მოჰყვა არაბულ რეგიონში მოვლენების ნეგატიური განვითარება, კერძოდ, ლიბანის კრიზისის ესკალაცია.

ეჭვი არ არის, აღნიშნა მან, რომ ეროვნულმა პროგრესულმა ძალებმა არაბულ სამყაროში ერთიანი პოზიცია უნდა დაიკავონ ამერიკის შეერთებულ შტატებთან კომპრომისების პოლიტიკის მიმართ. პალესტინის რეკოლუცია აგრეთვე ისწრაფვის ამ პოლიტიკის ეს იმპერიალისტური პოლიტიკა.

ალ-კადუმიმ მაღალი შეფასება მისცა იმ გარემოებას, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები მხარს უჭერენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასა და პალესტინის არაბი ხალხის სამართლიან ბრძოლას, რასაც ეფექტიანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ასპარეზზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და უმაღლესების საბჭოში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოზიციების განმტკიცებაში.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘ

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲣᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ. (საკდესი). ალჟირის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ბუმედიენმა, რომელმაც ქალაქ კონსტანტინში სიტყვა წარმოთქვა ფულარების და სტუდენტების წინაშე, განაცხადა, რომ ალჟირში დაიწყება ეროვნული ქარტიის — პროგრესული პოლიტიკური დოკუმენტის პროექტის ფართოდ განხილვა, რომელშიც განისაზღვრება ალჟირის რევოლუციის განვითარების ორგანიზაციული საფუძვლები, იდეოლოგიური და სოციალურ-ეკონომიური პრინციპები. ქარტიის ძირითად დებულებებს, აღნიშნა ჰ. ბუმედიენმა, საფუძვლად უდევს ალჟირის სოციალისტური ორიენტაციის ურყევობა.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. (საკდესი). შეერთებულ შტატებში ვიზიტად ჩამოვიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ხ. ჩანგლაიანგილი. მას მოლაპარაკება ექნება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. ფორდთან, სახელმწიფო მდივანთან ჰ. კისინჯერთან და შეერთებული შტატების სხვა ოფიციალურ პირებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს არავითარი გაცხადება არ გაუკეთებია ამერიკა-თურქეთის მოძაკავი მოლაპარაკების დღის წესრიგის თაობაზე. მაგრამ, როგორც პრესა აღნიშნავს, ამ შეხვედრაზე მთავარი ყურადღება დაეთმობა თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკის სამხედრო ბაზების შეიმენიანობის განახლების საკითხს განხილვას.

1975 წელს, როგორც ცნობილია, ეს ბაზები დაიხურა თურქეთის მთავრობა გადაკვეთილებით იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა გადაწყვიტა ემბარგო დადო თურქეთისათვის ამერიკული იარაღის მიწოდებაზე.

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲪᲘᲐ ᲚᲣᲘᲡᲕᲘᲚᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში მორიგი პროვოკაცია მოაწყვეს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ლუისვილში (ცენტუკის შტატი) დაანატომრეს ორი ახალგაზრდა გ. ლავი და უ. კლემონსი, რომლებიც ხელმოწერას აგროვებდნენ პეტიციაზე. ეს პეტიცია წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ ორი კომუნისტი კანდიდატის სახელები შეიტანონ პრეზიდენტის მომავალი არჩევნების საარჩევნო ბიულეტენებში.

როგორც ცნობილია, კომპარტიამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატად დაასახელა თავისი გენერალური მდივანი გ. პოლ. ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის წევრი ჯ. ტაილერი.

გ. ლავი და უ. კლემონსი მხოლოდ იმისათვის დაანატომრეს, რომ ხელმოწერას აგროვებდნენ ადგილობრივი მუნიციპალური კოლეჯის სტუდენტებში. პოლიციამ მათ ბრალდებად წაუყენა „კომუნისტური ლიტერატურის გავრცელება“.

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝ. (საკდესი). არ წყდება ისრაელის მიერ ოკუპირებული მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის არაბი მოსახლეობის ფართო გამოსვლები ისრაელის ხელისუფალთა თვითნებობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. განსელილი დღეების მანძილზე ამ რაიონის ბევრ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში გიმართა მასობრივი დემონსტრაციები, რომელთა გასარეკად საოკუპაციო ხელისუფლებამ არაერთგზის გამოიყენეს ჯარები.

იერუსალიმში ჯარისკაცთა და დემონსტრანტთა შეტაკების შემდეგ არაბმა ვაჭრებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა და დახურეს ყველა მაღაზია, ოკუპანტთა მუქარის მიუხედავად. ბეთლემში პოლიციამ ვერ აიღო ბარიკადები, რომლებიც მთელ ქალაქში აღმართეს პალესტინელმა სტუდენტებმა.

ნაბლუსის მცხოვრებლებმა ჯარის ქვეგანაყოფები გაამევეს ქალაქის ძველი ნაწილიდან და ამჟამად მთლიანად კონტროლს უწევენ მას.

ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲘᲠᲘ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკდესი). „ჩეიზ მანჰეტენის“ ბანკის გამგეობის თავმჯდომარე დევიდ როკფელერ

დედაენის სიწმინდისათვის

დავუფიქრდეთ, როგორ ვწერთ!

ამ ბოლო დროს ბევრი იწერება ქართული ენის სიწმინდის საკითხებზე. სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ზრუნვა, ენობრივი სიმახინჯის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრჯერ გამხდარა ქართველ მწერალთა და მეცნიერთა მსჯელობის საგანი. ენის სიწმინდისათვის იღვწიან ჩვენი რესპუბლიკის პრესა, რადიო და ტელევიზია, გამომცემლობები.

ეს ქართული ენის განვითარების საქმეში შეტანილი უაღრესად კეთილშობილური და ფასდაუდებელი წვლილია. ეჭვი არ არის, ქართული ენის სიწმინდისათვის ზრუნვა შემდგომშიც გაძლიერდება. არ შეუუდგებით ამ ზრუნვის კეთილნაყოფიერ შედეგთა ჩამოთვლას. მაგრამ გასაკეთებელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება.

გვინდა ამ წერილში მკითხველს ყურადღება ზოგიერთ იმ ხიფზე გავამახვილოთ, ქართულ სალიტერატურო ენას რომ შესობია და, წარმოიდგინეთ, სწორედ ზოგიერთი მწერლისა და მეცნიერის ნაწარმოებებში, პრესაში გვხვდება, რადიოთი და ტელეუკრანიდან, სცენიდან, კინოეკრანიდან გვესმის.

ხიწვი ცოცხალ ორგანიზმში მოხვედრილი უცხო სხეულია და თუ იგი თავის დროზე არ მოვიცილეთ, ორგანიზმს დაავადებს. სწორედ ასევე, სხვა ენათა გავლენით ზოგიერთი სიტყვა უცხო სხეულად ჩაფარა შემოქრილი სალიტერატურო ქართულ ენაში და ენასაც ახორკლიანებს, ზოგჯერ კი ამა თუ იმ წინადადებას სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობას ანიჭებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შეცდომები სწორედ იმათ მიტყუვლებასა და ნაშრომებშია, რომელთა მაგალითზე მილიონობით ადამიანი იზრდება და სწავლობს ენას, მიუტევებელი დანაშაული იქნება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ ამის თაობაზე.

ვიმეორებთ, ყველაფრის აღნუსხვა ამ წერილში შეუძლებელია და მხოლოდ რამდენიმე შეცდომაზე ვისაუბრებთ.

უპირველეს ყოვლისა, ვილაპარაკოთ უარყოფის გამომხატველი სიტყვის **არ**-ის შესახებ, რომელსაც ავტორთა საგრძნობი ნაწილი უმართებულოდ იყენებს დასტურისა და ვითომ „მეტი მკაფიოობის“ გამოსახატავად.

ჩვენ წინადადებათა ასეთი უკულმართ (დიან, უკულმართ!) აგებას ვგულისხმობთ: „რაც **არ** უნდა მოხდეს“... „ვინც **არ** უნდა მოვიდეს“... „სადაც **არ** უნდა წავიდეთ“... და ასე შემდეგ.

მაგალითები? ინებეთ:

„რა დაბრკოლებანიც **არ** უნდა აღმოჩართოს ჩვენს გზაზე, რა მსხვერპლის გაღებაც **არ** უნდა დაგვჭირდეს“... („ახ. კომუნისტი“).

„რაც არ უნდა ერუდირებული იყოს კრიტიკოსი, რაც **არ** უნდა ფაქიზი ანალიზი შეეძლოს მხატვრული ქმნილებისა, იგი განსახილველ ობიექტად ისეთ მწერალს ირჩევს... („ლიტ. საქართველო“).

„ამგვარი ძიების უფლება აქვს რუსთაველის თეატრსაც, რაც **არ** უნდა აკადემიური იყოს იგი და რაც **არ** უნდა სახელოვანი ტრადიციისა“ („ახ. კომუნისტი“).

„აგერ ოთხი ათეული წელია დრო და დრო გამოჩნდება ხოლმე ნ. კანდელაკის ამავე თემაზე დაწერილი წიგნები და რა ტირაჟითაც **არ** უნდა იყოს დასტამბული, უმალვე იყიდება“... და იქვე: „...და რამდენაც **არ** უნდა ყოფილიყო აუდიტორია... ერთნაირად სულგანაბული უსმენდა“ („ლიტ. საქართველო“).

არ გეგონოთ, აქ მოყვანილი მაგალითები შემთხვევითი იყოს. ასეთ შეცდომებს ყოველდღიურად იპოვნით არა მარტო პრესაში, არამედ რადიოსა და ტელეგადაცემებშიც.

ახლა წიგნებსაც გადავავლოთ თვალი. ერთი გამოჩენილი საბჭოთა მწერლის ნაწარმოების ქართულ თარგმანში ამოიკითხავთ:

„ჩემი პოეზია, რამდენადაც **არ** უნდა ვადარო „ისკიდურს“... „რა მშვენიერი სანანაობაც **არ** უნდა ყოფილიყო“... „რომელ მხარეშიაც **არ** უნდა გადამაგდოს ბედმა“...

განა ცხადი არ არის, რომ ეს **არ** სრულიად ზედმეტია?

აი, რამდენიმე პოეტური სტროფონიც. ერთი მახდილოსანი პოეტი ასე წერს: „სადაც **არ** უნდა წავიდეთ, სადაც **არ** უნდა ვიაროთ“...

სხვა პოეტის ერთ უთუოდ კარგ და მეზნებარე ლექსში კი ასეთ სტროფონებს ნახავთ: „რომ ვინც **არ** უნდა ვიყო მე, სადაც **არ** უნდა ვიყო მე, როგორც **არ** უნდა მიეჩინდეს, **როგორც** **არ** უნდა მილხინდეს“...

ქართული სალიტერატურო ენის მეორე დამახინჯებად სიტყვა **ითამაშა**-ს უმართებულოდ ხმარება მიგვაჩნია. მას ბევრი ავტორი სიტყვა **შეახრულა**-ს მაგიერ ხმარობს. ესეც სხვა ენიდან გადმოტანილი შტამპია. ამ სიტყვის უმართებულო ხმარებით პრესაშიც მომრავლდა, რადიოშიც, ტელევიზიაშიც, წიგნებშიც და კინოეკრანებიდანაც გვესმის ასეთი გამოთქმები: „ჩვენმა **არ**მიამ დიდი როლი **ითამაშა**“... „პრესამ დიდი როლი **ითამაშა**“... „ლიტერატურამ დიდი როლი **ითამაშა**“...

ერთი წიგნის შესახებ გამოქვეყნებულ მოკლე ანოტაციაში „ლიტერატურული საქართველო“ გვაუწყებდა: „ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისათვის გარკვეულ როლს **თამაშობს** ამ ჟანრის ნაწარმოებები“... ამავე გაზეთში კვითხულობთ: „მხატვრული სიტყვა, სიტყვა პრესისა უდიდეს დამოზმავ როლს **თამაშობს**“.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველი კაცი სიტყვა **თამაშს** ზოგიერთი სპორტული შეჯიბრებისა და ცეკვის სინონიმად ხმარობს („გაიმართა ცეკვა-თამაში“, „ჭადრაკი ითამაშა“, „ფეხბურთის თამაში“, „ეს ბიჭი კარგად თამაშობს, თითის წვერებზე დგებაო“...), ცხადი გახდება, თუ რამდენად გაუმართლებელია წარმოვიდგინოთ მოთამაშე არმია, ლიტერატურა, პრესა...

რაკი როლზეა ლაპარაკი, სცენის ანალოგიით, თამაში როდი უნდა მივუსადაგოთ წინადადებას!

ივივე გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1975 წ. 27 ივნისს ნომერში პროფესორ ნიკოლოზ კანდელაკის შესახებ გვაცნობდა: ის, ...„როგორც თავის **სკმეში ეშმარიტად შეყვარებულ** ადამიანს შეეფერება, ერთნაირი გატაცებით ეასუბრებოდა ყველას“. ქართული ენის ბუნებისათვის, სწორი ქართული მეტყველებისათვის არაფერია უფრო უცხო და მიუღებელი, ვიდრე „ამაში შეყვარება“ და „ამაზე შეყვარება“. ავტორს ან უნდა დაეწერა: თავისი საქმე ჭეშმარიტად უყვარდაო, ან კიდევ: ჭეშმარიტად, თავისი საქმის მოტრფიალე იყო. ამის უცოდინარობა განსაკუთრებით იმას არ ეპატიება, ვისაც კარგი ქართული ცოდნის პრეტენზია აქვს. იმავე წერილში („ცოცხალი სიტყვის მადლი“) კვითხულობთ: „ეს წიგნი ფაქტიურად ავტორის პირველ **ნაშრომს წარმოადგენს**“ (უნდა იყოს: ეს წიგნი... პირველი ნაშრომია). იქვე წაიკითხავთ: „წიგნი „ხელოვნებამ“ გამოსცა ავტორის გარდაცვალების ათი წლისთავზე“ (უნდა იყოს: მეათე წლისთავზე. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, **„ათი წლისთავზე“** ისეთივე შეცდომაა, როგორიც: „კარგი კაცზე“).

კიდევ ერთი სიტყვის — **გააჩნია**ს შესახებ.

ქართულ ენაში ეს სიტყვა ძირითადად უარყოფითი მნიშვნელობით იხმარება. კარგი მოქართულე იტყვის: „ფული არ გამაჩნია“, „ძალო�sა არ გამაჩნია“, „მას ჭკუა არ გააჩნია“, „სინდისი არ გააჩნია“...

ზოგიერთი ავტორი სიტყვა გააჩნიას, ნაცვლად უარყოფითისა, დადებითი მნიშვნელობით ხმარობს. ამის შედეგად ბევრი წინადადება უცნაურად ჟღერს. აი რამდენიმე მაგალითი რადიო და ტელეგადაცემებიდან:

„ქართულ ფერწერას უზარმაზარი ისტორია გააჩნია“ (აქვს!), „საქართველოს გააჩნია სიმღერის დიდი ოსტატები“ (აყავს!); „კ. მარჯანიშვილს არაჩვეულებრივი ალღო გააჩნდა“ (ჰქონდა!); „მას (ე. წუწუნავას) შესანიშნავი სცენური ნიჭი გააჩნდა“ (ჰქონდა!), „მას ლექსის წერის დიდი კულტურა გააჩნდა“ (ჰქონდა!), „ყველ ერს გააჩნია თავისი ეროვნული დღესასწაულები“ (აქვს).

ერთი საინტერესო ტელეგადაცემის დროს საკმაოდ ავტორიტეტული ადამიანები ასე მეტყველებდნენ: „ჩვენ გაგვაჩნია ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ტრადიციები“, სხვა გადაცემაში კი საერთაშორისო მიმომხილველი ეცხადებდა: „პორტუგალიის ამბებს გააჩნია დიდი საერთაშორისო რეზონანსი“ (ზმანა რა ცუდ ადგილზეა!).

ნუ ეფიქრებთ, რომ ეს მხოლოდ რადიოსა და ტელეგადაცემებში იყოს. არა, ბევრ ჟურნალისტსაც ეხება, მწერალსაც, მეცნიერსაც. რა სამწუხაროა, რომ უმნიშვნელოვანესი ნაშრომის „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რეატომეულის პირველი ტომის პირველივე სტრიქონები ასე იწყება: „საქართველოს, ქართველ ხალხს მდიდარი ისტორიული წარსული გააჩნია“. რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ასეთი წინადადებას ნახავთ: „ქართულ ისტორიოგრაფიას მრავალსაუკუნოვანი წარსული გააჩნია“.

ზოგიერთი გაზეთი უმართებლოდ ხმარობს სიტყვას — **აწარმოა**: „მაიორი მთელ დღეს მტრის წინააღმდეგ სროლას აწარმოებდა“ (ისროდა); „მან 10 ტონა სიმინდი აწარმოა“ (მოიყვანა); „ათასი ლიტრი რძე აწარმოა“ (მოწველა!) და სხვ. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ეს ფაქტები ნათლად გვარწმუნებს, თუ რა უდიდესი სიფრთხილით უნდა ეპყრობოდნენ ქართულ სალიტერატურო ენას — თავის ძირითად იარაღსა და საგანძურს მწერალიც, ჟურნალისტიც, მეცნიერიც. განა ცხადი არ არის, რომ მათ მიერ წარმოთქმულ თუ დაწერილ ყოველ სიტყვას კანონად იღებს მკითხველი ახალგაზრდობა? ცუდ მაგალითს კი ასეთი დიდი და საპატიო ტრიბუნიდან სწრაფი გავრცელების უნარი აქვს — ენა ხორკლიანი ხდება, მახინჯდება.

დავუფიქრდეთ, **როგორ** ვწერთ და ვმეტყველებთ!

ი. ნატროშვილი,
პროფესორი.

გუნების დაცვის ერთთვიური

აბაშა. რაიონში წელს 20 მარტიდან 20 აპრილამდე გამოცხადებულია „ბუნების დაცვის“ ერთთვიური. ერთთვიურის დღეებში რაიონის ტერიტორიაზე დარგავენ 32 ათას ხესა და ბუჩქს, შექმნიან ყვავილის სამბურებს, ნადირითა და ფრინველით გამდიდრებენ სამონადირეო მეურნეობებს. (საქინფორმი).

საქართველოს რაიონებში

სიღნაღი

საკოლმეურნეო მემორიალი

□ **დიდი** სამამული ომის წლებში სოფელ ბოდბისხევიდან ცხრაასზე მეტი მეომარი წავიდა ფრონტზე. მათი ნახევარი აღარ დაბრუნებულა. დღეუკანელთა ხსოვნის აღსანიშნავად თანასოფლელებმა მემორიალური პარკი გააშენეს.

სოფლის ცენტრში, ადმინისტრაციული შენობის ეზოში დაღუპულთა ოჯახებს წევრებმა და ნათესავებმა დარგეს ხეები, ბუჩქები, ყვავილები. მუშაობას ხელმძღვანელობდა დაღუპული მეომრის გიორგი ზურაბაშვილის შვილი კოლმეურნეობის მძღოლი იასონ ზურაბაშვილი.

პარკ-მემორიალის ცენტრში აღმართულია ომის გმირთა ძეგლი, რომელზეც ოქროს ასოებით ამოკვეთილია ფაშისტთა წინააღმდეგ ომში დაღუპულ ბოდბისხეველთა სახელები.

მეცხოველეთა კადრები — სოფელს

□ **ამას წინათ** წნორის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში გიმნაზიათა სპეციალისტთა მორიგი გამოშვება. 100-მდე ზოოტექნიკოსმა, ვეტერინარმა და მეფრინველემ, მიიღო ცხოვრების საგზური. სოფლის მეურნეობის საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა კადრები სამუშაოდ გაიგზავნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სახალხო თეატრის პრემიერა

□ **ბევრი** კარგი დადგმით ახარებს მაყურებელს სიღნაღის სახალხო თეატრი. ამ დღეებში აქ გაიმართა პრემიერა: წარმოდგენილი იყო ა. ჩხაიძის პიესა „როცა ქალაფს სძინავს“. დადგმა ეკუთვნის კ. ბახარაშვილს, მხატვრულად გაფორმა გ. დანიელაშვილმა.

ახალი მიწები

□ **რაიონში** ყოველწლიურად ებმება სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ასობით ჰექტარი დაჭაობებული და დამლაშებული მიწა.

მარტო წნორის მეცხოველეობის კომპლექსში მექანიზებული სამართველოს კოლექტივმა სამ წელიწადში აითვისა 4,408 ჰექტარი საუკუნეთა განმავლობაში გამოუყენებელი მიწა.

მეათე ხუთწლედში წნორის კომპლექსს გადაეცემა კიდევ ექვსი ათასი ჰექტარი ახალი მიწა, „ყამირის გმირებს“ უწოდებენ მეექსკავატორეებს შ. კაკაშვილს, ნ. ჩერქეზიშვილსა და სხვებს.

(საქინფორმი).

ამინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში მზიანი ამინდი იდგა, 13 საათზე ყველაზე მეგი სითბო, 19 გრადუსი ცელსიუსი და ლანჩხუთში აღინიშნა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 16-18, მთაში 10-15 გრადუსი სითბო იყო.

კახეთის ზოგიერთ რაიონში წვიმდა, შიდა ქართლში უნალექო ამინდი იყო, დაბლობ რაიონებში 6-12, მთაში 4-9 გრადუსი სითბო აღინიშნა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, კოლხეთის დაბლობზე იქროლებს აღმოსავლეთის ქარი, გემბერაგურა დაბლობ რაიონებში 13-18, მთაში 6-11 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში წვიმა, ზოგან ნისლი იქნება, გემბერაგურა ბარში 8-13, მთაში ნული — 5 გრადუსი სითბო.

თბილისში 10-12 გრადუსი სითბოა მოსალოდნელი.

თბილისი დღეს. მარჯანიშვილის მოედნის ხედი.

ნ. ნასყიდაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხელოვნური გულის შექმნისათვის

საუკუნის პროგლემა

ამერიკელი ქირურგები თბილისში

ROGORC „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, სამედიცინო მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დარგში თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შეთანხმების საფუძველზე უკვე რამდენიმე დღეა ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იმყოფება ამერიკის მეცნიერთა დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საკვლევი ცენტრის — პიუტონის ბეილორის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი ჯორჯ ნუნი (დელეგაციის მთავარი), ამავე ინსტიტუტის სისხლის მექანიკური მიმოქცევის ლაბორატორიის სამეცნიერო დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ჯონ შიმაუსკი და პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის ძილტონის სახელობის სამედიცინო ცენტრის ქირურგიის განყოფილების ინჟინერ-მკვლევარი ვილიამ ო' ბანონი.

მოსკოვის ორგანიზაციისა და ქსოვილების ტრანსპლანტაციის ინსტიტუტში საბჭოთა და ამერიკელმა მეცნიერებმა ხელოვნური გულის ორი სხვადასხვა მოდელის ტრანსპლანტაციის ერთობლივი ექსპერიმენტი განახორციელეს. მოსკოველ ქირურგებთან შეხვედრების შემდეგ, ამერიკელი მეცნიერები გაემგზავრნენ ლენინგრადში, სადაც გაეცნენ პუომოხოლოგიის ინსტიტუტის მუშაობას.

ამ დღეებში კი უცხოელი სპეციალისტები თბილისში ჩამოვიდნენ. ისინი ეწვევნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, რომელიც იმ დაწესებულებათა რიცხვშია შეტანილი, სადაც განხორციელდება საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერთა ერთობლივი თანამშრომლობა.

ამერიკელი სპეციალისტები ქართველ კოლეგებთან ერთად ერთობლივად შეისწავლიან ხელოვნური სისხლის მიმოქცევის ერთ მნიშვნელოვან საფეხურს — დამხმარე სისხლის მიმოქცევის მეთოდებს და ამ მეთოდების გაუმჯობესების საკითხებს.

— დამხმარე სისხლის მიმოქცევის მეთოდის შექმნა შედარებით ახალია, — გვეუბნება ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვ. იოსელიანი—და ამიტომაც ბევრი რამ ჯერ კიდევ გამოსაკვლევია. ეს მეთოდი, სადღეისოდ გულზე წარმოებული მძიმე ოპერაციებისას ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ითვლება. მაგრამ იმისათვის, რომ მივიღოთ ამ მეთოდის საუკეთესო ფორმა და იგი კლინიკურ პრაქტიკაში იქნას დანერგილი, საჭიროა ღრმა და დაძაბული კვლევითი მუშაობა.

დამხმარე სისხლის მიმოქცევის ერთ-ერთი ორიგინალური მეთოდი ჩვენს ინსტიტუტში დამუშავდა. ეს არის გულის შიგნითა მასაჟის მეთოდი და მომავალში ვიმუშავებთ მის გაუმჯობესებაზე.

ამერიკელმა სტუმრებმა დათვალიერეს კლინიკა, გაეცნენ განყოფილებებს, ლაბორატორიების მუშაობას. მოეწყო ორდღიანი სიმპოზიუმი, რომელიც დამხმარე სისხლის მიმოქცევის პრობლემებს მიეძღვნა.

სიმპოზიუმზე მოისმინეს პროფესორ ნუნის, დოქტორ შიმაუსკის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის თ. ბახუთაძის მოხსენებები.

ამერიკელი მეცნიერები ეცნობიდნენ ავრეთვე ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, იყვნენ მუზეუმებში, ეწვივნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახელოსნოს. მხატვარმა უცხოელ სტუმრებს თავისი ნამუშევრები აჩუქა.

პროფესორ ჯონ ნუნის ეთხოვეთ გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილება საქართველოში ყოფნის გამო.

— ძალიან საინტერესო იყო ქართველ კოლეგებთან შეხვედრა, გვითხრა მან, — აქ გვიჩვენეს რამდენიმე ექსპერიმენტი ცხოველზე. გვქონდა საშუალება გავცნობოდით ინსტიტუტის ლაბორატორიების სამედიცინო აღჭურვილობას, ინსტიტუტის მუშაობის პრობლემებს, რომლებითაც ამერიკაშიც არიან დაინტერესებული.

სიმპოზიუმმა საინტერესოდ ჩაიარა. ქართველი კოლეგების გამოსვლებით გაირკვა, რომ ისინი კარგად არიან ინფორმირებული ხელოვნური გულის პრობლემებზე მუშაობის იმ მეცნიერულ საახლეებზე, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში მივაღწიეთ. ქართველ კოლეგებთან შეხვედრა ჩვენთვის **მეტად** **სასარგებლო** იყო.

მინდა მოგახსენოთ ისიც, რომ საქართველოზე, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობაზე ბევრი კარგი რამ გვსმენია, მაგრამ აქ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

საქართველოში სტუმრობა **ჩვენთვის** დაუვიწყარი იქნება, — გვითხრა ინტერვიუს დასასრულ ამერიკელმა მეცნიერმა.

29 მარტს ამერიკელი მეცნიერები **სამშობლოში** მიემგზავრებიან.

ლ. ხუციშვილი.

ზემო სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერთა ერთობლივ ექსპერიმენტს, რომელიც მოსკოვის ორგანოებისა და ქსოვილების ტრანსპლანტაციის ინსტიტუტში მიმდინარეობს. ოპერაციას აწარმოებს პროფესორი ვ. შუმაკოვი, ოპერაციის მსვლელობას თვალს ადევნებს ამერიკელი ქირურგი ჯ. ნუნი მარჯვნიდან განაპირა; ქვემო სურათზე ჯ. ნუნი (მარჯვნივ) ლადო გუდიაშვილის სახელოსნოში.

ა. პუშკარევის (საკავშირო ფოტოქრონიკა) და ბ. ბოგუსლავსკის („კომუნისტი“) ფოტო.

რა ყრმა ნახო ავად გრდილი...

სასამართლოს დარბაზიდან

□

10 მანეთი ფული მოპპარა ტურისტად ჩამოსულ ლეონინგრადელ ა. მეტოლვეს. მერე ლ. ქვაჭრელიშვილმა თანაძოზიარად ჯეალდინ მაგომედოვი გაიხადა.

1974 წლის 10 აგვისტოს ლ. ქვაჭრელიშვილი და ჯ. მაგომედოვი შეეცადნენ ლაგოდეხში მობინადრეებისათვის მოეპარათ რამე, მაგრამ ამნილებულ იქნენ დანაშაულში. ამის შესახებ იმსჯელა ლაგოდეხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ, მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

გასული წლის დეკემბერში ძმაბიჭები არყით გამოთვრნენ, სკოლაში არ წავიდნენ და გადაწყვიტეს გაექურდათ ლაგოდეხში მცხოვრები ა. კრასნოვას ბინა. განზრახულის სისრულეში მოსაყვანად მხოლოდ ღამეს ელოდნენ. ღამის 12 საათზე ა. კრასნოვას სახლის კარები გატეხეს, შევიდნენ შიგნით და მოიპარეს 84 მანეთის ღირებულების საოჯახო ნივთები, რისთვისაც სამართალში იქნენ მიცემული.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლომ ამ დღეებში განიხილა ლ. ქვაჭრელიშვილისა და ჯ. მაგომედოვის საქმე და თვითეულს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა თითო წლის ვადით საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში მოხდით. სასამართლომ გამოიტანა აგრეთვე კეთილი განჩინება, რამეც მხილებულია დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზები, და სათანადო ზომების მისაღებად გადაუგზავნა ლაგოდეხის რაიონის პროკურატურას.

ზემოთ დასახელებული ახალგაზრდები საბარალდინო სკამზე აღმოჩნდნენ და დაისაჯნენ, მაგრამ მათი დასჯა როდია მართლმსაჯულების მიზანი. რა ძალამ უბიძგა მათ ქურდობისაკენ, სად უნდა ვეძიოთ დანაშაულის მიზეზი? — მათს აღზრდაში. ლ. ქვაჭრელიშვილის და ჯ. მაგომედოვის მშობლებს შვილები გაუზრდიათ და არ აღუზრდიათ. სწორედ ასეთ მშობლებზე ამბობს დიდი პოეტი: „ცემა გამართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“.

ახალგაზრდობის მიერ ჩადენილ დანაშაულში ნაკლები ბრალი როდი მიუძღვით იმ სკოლის აღმზრდელ-პედაგოგებს, სადაც ისინი სწავლობდნენ. მათ რომ სათანადო ყურადღება გამოეჩინათ, იქნებ ლ. ქვაჭრელიშვილი და ჯ. მაგომედოვი ამ დღეში არ ჩავარდნილიყვნენ, და მათი სახით ჩვენს საზოგადოებას ორი ღირსეული წევრი შემატებოდა.

ბ. წიქარიძე,
ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

ბრძოლა

თასი — საქართველოს ნაკრებს

სასახლეში ცნობა მოვიდა გუშინ ყირგიზეთის დედაქალაქიდან — საქართველოს ნაკრებმა სსრ კავშირის თასი ჩოგბურთში მრგვალ სტენდზე სროლაში ... თან ქართველ მსროლელთა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ მაჩხანელი) შედეგი — 391 ქულა სსრ კავშირის რეკორდია.

აი ვინ იცავდა ფერებს ხასროლეთზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას: სპორტის დამსახურებული ოსტატი ტარიელ ყიფანი („ლოკომოტივი“) — 100 ქულა 100 შესაძლებლობიდან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თამაზ ომნაშვილი (სკა) — 99 ქულა, სპორტის ოსტატი გია შენგელია (სკა) — 97, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თემურ მატოიანი („განთიადი“) — 95 ქულა.

ჭიდაობა

ლუქნიკის ტატამზე

მოსკოვში, ლუქნიკის სპორტის სასახლეში გამოვლინდა ძიუდოისტთა დიდი ასპარეზობის — სსრ კავშირის ჩემპიონატის კიდევ ორი ლაურეატი.

80 კილოგრამამდე წონითის კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი დიღარ ხაბულიანი და ტატამის გამოცდილი ოსტატი — მოსკოველი ანდრეი ციუპენენკო. 4 წუთსა და 11 წამში სუფთა გამარჯვება მოიპოვა მოსკოველმა ათლეტმა, რომელმაც ერთი წლის „შესვენების“ შემდეგ კვლავ დაიბრუნა საკავშირო ჩემპიონობა.

მსოფლიოს ჩემპიონმა, მაიკოპელმა ვლადიმერ ნევზოროვმა (70 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დაამარცხა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორი, კიეველი ვალერი დვოინიკოვი.

ფეხბურთი

პირველი გოლები

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა მინიფეხბურთში.

ასპარეზობაში მონაწილე 19 გუნდი დაყოფილია ოთხ ჯგუფად, სადაც თამაშები წრიული სისტემით მიმდინარეობს. ჯგუფებში გამარჯვებულები. შექმნიან ფინალურ ოთხეულს. გადამწყვეტი მატჩი მთავარი პრიზისათვის 31 მარტს გაიმართება.

შეჯიბრების პირველ დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის სპორტული სკოლა-ინტერნატისა და „ავაზას“ გუნდების შეხვედრამ. ანგარიშით 8:6 გაიმარჯვეს ინტერნატელებმა. საინტერესოა, რომ მათმა თავდამსხმელმა გ. გურულმა 6 ბერთი გაიტანა.

მოკლედ

ჰოკეი. სსრ კავშირისა და შვეიცის ნაკრებმა გუნდებმა სტოკჰოლმში, „იუჰანესსხოფის“ სპორტულ დარბაზში ამხანაგური მატჩი გამართეს. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. გუშინ საღამოს გეტებორგში გაიმართა ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა.

შეხბურთი. დასასრულს უახლოვდება მეორე ტრადიციული ტურნირი სპორტის დამსახურებული ოსტატის ანდრო ჯორდანიას სახელობის პრიზზე, რომელშიც სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ 22 გუნდი მონაწილეობს. გუშინწინ გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. გორში თასის შარშანდელი მფლობელი — ადგილობრივი „ქართლი“ დამარცხდა ფალენჯიხის „კოლმეურნესთან“ — 0:1, ხოლო გეგეჭკორში „სალხინომ“ მოუგო ლაითურის „გიგანტს“ — 3:0. ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „სალხინო“ და „კოლმეურნე“.

რეკსპმი (უელსი). ინგლისის ნაკრებმა აქ ამხანაგური მატჩი გამართა უელსის გუნდთან და მოიგო ანგარიშით 2:1.

ხოკეი. არგენტინის ნაკრები, რომელიც ტურნეს ატარებს ევროპაში, კიევის შემდეგ ამხანაგურ მატჩში შეხვდა პოლონეთის ნაკრებს და გიმარჯვა ანგარიშით 2:1.

დუბლინი. ირლანდიის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ანგარიშით 3:0 დაამარცხა ნორვეგიის გუნდი.



ო. ფრანგიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ოთარ ვასილიძე ფრანგიშვილი.

ო. ფრანგიშვილი დაიბადა 1933 წელს. ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის მესამე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. სწავლის დამთავრების შემდეგ ო. ფრანგიშვილი მუშაობდა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ინსტიტუტ „გიპრომეზში“ უფროს ინჟინერ-კონსტრუქტორად, ქიმიური სექტორის ხელმძღვანელად და პროექტების მთავარ ინჟინრად.

1964-1967 წლებში იგი პასუხსაგებ სამუშაოზე იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში. შემდეგ მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსად, რუსთაველ ქიმიური ბოჭკოს ქარხნის დირექტორად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარნაკვთობმომარაგებაგაბაღების“ სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

კომუნისტი ო. ფრანგიშვილი არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის წევრად და რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, ინიციატივიანი და შრომისმოყვარე მუშაკი, ნიჭიერი ორგანიზატორი ო. ფრანგიშვილი ყოველთვის სარგებლობდა იმათი სიყვარულითა და დამსახურებული პატივისცემით, ვინც მას იცნობდა. ო. ფრანგიშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ო. ვ. ფრანგიშვილის დამძრძალავი კომისია

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 26 მარტს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში — პავლოვის ქუჩა, 11. გამოსვენება — 27 მარტს დღის 3 საათზე. დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების საქართველოს ტერიტორიული კომიტეტი, მეადელეევის სახელობის საკავშირო საზოგადოების საქართველოს რეფერენტული ... გამგეობა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სამთოთეგ ... ხელმძღვანელობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ოთარ ვასილიძ-ძე ფრანგიშვილი.

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებმა—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფ